პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 27 დეკემბერი, 1951 წ. № 303 (9157). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

განვითარების ორი გზა — „პრავდის“ 26/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე —პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
ა. მგელაძე—ქუთაისი დღეს და ხვალ (მე-2 გვერდი).
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).
ვაზისუბნის ექსპერიმენტული ბაზა (მე-2 გვერდი).
ელ. შაფათავა — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“ (მე-3 გვერდი).
ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1951 წლის 19 დეკემბერს (მე-3 და მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ (მე-4 გვერდი).

განვითარების ორი გზა

მიიწურა 1951 წელი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი კმაყოფილების გრძნობით გადაავლებენ თვალს განვლილ გზას. ეს იყო სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების გზა.

საბჭოთა კავშირში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მოწმობენ საბჭოთა წყობილების ძლევამოსილებას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი ახალი წყობილება საშუალებას მოგვცემს უდიდესი სისწრაფით განვავითაროთ საწარმოო ძალები, „თვალსაჩინოდ, თვალნათლივ დავუმტკიცოთ ყველას და თვითეულს, რომ სოციალიზმი შეიცავს გიგანტურ ძალებს და რომ კაცობრიობა ახლა გადავიდა განვითარების ახალ სტადიაზე, რომელსაც არაჩვეულებრივ ბრწყინვალე შესაძლებლობანი მოაქვს“. ისტორიულ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ლენინის გენიალური განჭვრეტა.

განვლილმა წელმა კვლავ ცხადყო, რომ საბ- [illegible]

ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან წინ და ახორციელებენ სოციალიზმის მშენებლობის გეგმებს. ისევე როგორც ჩვენს ქვეყანაში, მრეწველობის განვითარება სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებში ემსახურება მშრომელების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, შემდგომ მშვიდობიან განვითარებას. ჩინელმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განამტკიცა სახალხო დემოკრატიის დიქტატურის წყობილება, გადაწყვიტა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური პრობლემები კაპიტალისტური სამყაროსაგან სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მშვიდობიან ეკონომიკას ავითარებენ, კაპიტალიზმის ქვეყნებში მიმდინარეობს გაშლებული შეიარაღება, ამ ქვეყნების ეკონომიკა დაქვემდებარებულია ახალი ომის მომზადების ინტერესებისადმი. შეიარაღებისა და სამხედრო მზადების ხარჯები მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე საბიუჯეტო წელს ომამდელ დროსთან შედარებით სამოცდაათჯერ და უფრო მეტად გადიდდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ამერიკის მონოპოლიებზე კაბალურად [illegible]

[illegible]

ვის.

მიმდინარე წელიწადი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების ახალი წარმატებებით აღინიშნა. ამ ქვეყნების მშრომელები კომუნისტური და მუშათა პარტიების [illegible] რი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა ახალ წარმატებებს მოიპოვებს კომუნიზმის მშენებლობაში.

„პრავდის“ 26/XII მოწინავე

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობა

1951 წლის 23 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები.

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან, დადგენილია, რომ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა აღრიცხული ამომრჩევლის 99,98 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეების კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,93 პროცენტს, სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისათვის—99,99 პროცენტს.

ყველა არჩეული სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები არიან.

სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად არჩეულთა შორის არიან: ქალები—39,21 პროცენტი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრები და წევრობის კანდიდატები — 54,54 პროცენტი, უპარტიოები — 45,46 პროცენტი.

არჩევნები ჩატარდა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით.

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე

პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება

21 დეკემბერს ბულაჩაურელმა მშენებლებმა თავიანთი პირველი შრომითი გამარჯვება აღნიშნეს. ამ დღეს მათ ვადამდე გამოუშვეს სათავიდან წყალი, პირველად გაუღეს კარი ქაბურილებიდან ნადენ წყალს სიფონური ვარდნილებისაკენ. წმინდა, ანკარა წყალი პირველად შემოიჭრა ფერად-ფერადი მარმარილოსაგან ნაგებ სამიჯნო კამერაში, რათა უდაწნეო მილსადენით ჩუხჩუხებულიყო ქვემოთ—ტრასის პირველ უბანზე.

სათავის ნაგებობათა კვანძის ყველა ობიექტი და ნაგებობათა ყველა რგოლი უნაკლო და სრული ტექნიკური შესაბამისობით ნაგები აღმოჩნდა. უჭირველად განვლო წყალმა ტრასის პირველი მონაკვეთი, ახლაც მიდის უკვე მზა მრავალკილომეტრიან მილსადენში და რაკი შემდგომ უბანზე მილსადენი სავსებით ჯერ კიდევ არ არის მზად, წყალი ხევში ჩადის. მალე მშენებლები წყალს შემდგომი მიმართულებით გაგზავნიან, 12,5 კილომეტრით დაუახლოვებენ თბილისს და ტრასის მეორე დიდ ნაკვეთზე წყალსადენის გამზადების ამბავს საახალწლო ნობათად მიუძღვნიან თბილისისა და რუსთავის მშრომელებს.

ამის შემდეგ დედაქალაქამდე ტრასის ორი მონაკვეთი დარჩება ბულაჩაურის წყლის გასატარებლად და მშენებელთა მთელი ძალები და საშუალებანი იქ იქნება კონცენტრირებული. ტრასის მეორე მონაკვეთზე საახალწლოდ წყლის გაშვებას მრავალი დაბრკოლება ეღობება. ზამთრის სეზონის დამახასიათებელმა სირთულეებმა მთელი სიმწვავით იჩინეს თავი და მშენებლებს მათი გადალახვა ფრონტული შეუპოვრობით უხდებათ. ერთგან თოვლმა დნობა იწყო, ნაკვალევიდან თოვლის წყალი მილჩასაწყობ ტრანშეაში ჩადის, ანგრევს ტრანშეის კედლებს, შეუძლებელს ხდის მემონტაჟეების, მებეტონეების მუშაობას. მეორე ადგილას თოვლჭყაპმა ყამირის გზა გაუვალი გახადა, მშენებლებს კი საშენი მასალა სჭირდებათ, გამწევი მექანიზმების დაუხმარებლად ავტოტრანსპორტი ტრასზე ვერ მიდის, საქმე ბრკოლდება. მაგრამ ეს გამწევი მექანიზმები ისეთი რაოდენობით როდი აქვთ, რომ ყველა უბნის, ყველა სამშენებლო ობიექტის მომსახურე ავტოტრანსპორტს აუვიდნენ. საჭირო ხდება ოპერატიულობის, მანევრირების უნარის გამოჩენა, მოქნილად მუშაობა, რომ ტემპი არსად შენელდეს, დრო არ დაიკარგოს. საჭიროა ავტომობილთა კოლონებმა განუწყვეტლივ იმუშაონ, ქვიშა და ხრეში, მილები და მათი შესაერთებელი რგოლები, ხე-ტყე და ცემენტი, ხელსაწყოები და სხვა მასალები მშენებლებს მოუმარაგონ ღამით, როდესაც გზები მოყინულია და მოძრაობა გაადვილებული.

ბევრი დამატებითი შრომის გაწევა უხდებათ მშენებლებს იმისათვის, რომ ტრასა თოვლის წყლის გავლენისაგან დაიცვან. საჭირო ხდება ველზე წამოსული წყლისათვის გზის მიჩენა, ტრანშეიდან მისი ამოტუმბვა, მილჩასაწყობი ადგილების ხელახლა გაწმენდა, ყველგან გუშაგების დაყენება, რათა ველის წყალი არსად შეეხოს ტრასას, სანამ იგი საბოლოოდ არ არის გამზადებული. ყველა ამ საქმეს პირადად მშენებლობის უფროსი ინჟინერი შალვა ცაგარელი ხელმძღვანელობს. ტრასის მეორე მონაკვეთზე საახალწლოდ წყლის გამოშვება იმის ნიშანი იქნება, რომ დაბრკოლებები ძირითადად გადალახულია და უზრუნველყოფილია მთავრობის მიერ დაწესებული ვადისათვის ბულაჩაურის წყალსადენის ამუშავება. საამისოდ ენერგიასა და ძალებს არ იშურებენ მშენებლები.

ერთ-ერთ უბანზე, რომელსაც ინჟინერი ბიძინა აბულაძე ხელმძღვანელობს, სამილსადენე ტრანშეაში თოვლის წყალი ჩადგა, ტრანშეის ნაპირები ჩაინგრა და მშენებლებს დამატებითი სამუშაო გაუჩინა. მიწის მთხრელთა ბრიგადა, რომელსაც სიმონ მელიქაური მეთაურობს, უკვე მზად იყო წყლის ამოტუმბვისთანავე ტრანშეაში ჩასასვლელად, მისი გაწმენდის დასაწყებად, მაგრამ ამას მთელი ბრიგადის მრავალი დღის შრომა დასჭირდებოდა, ახალი წლის დასაწყისი კი მოახლოებულია, ამ ტრანშეაში მილსადენი რამდენიმე დღეში მზად უნდა იქნეს. ტრანშეაში ჩასვლის ნაცვლად მიწის მთხრელებს ტრანშეაში მექანიზმების ჩასასვლელი გზები გააკეთებინეს, ერთი მხრიდან იქ ბულდოზერი შეუშვეს, მეორე მხრიდან ექსკავატორი. ბულდოზერმა ჩამოზვავებულ მიწას რამდენიმე გავლით თავი ერთად მოუყარა, მეორე მხრიდან მისულმა ექსკავატორმა ეს მიწა ზემოთ ამოყარა და მრავალი დღის სამუშაო ერთი დღის განმავლობაში მოათავა.

21 დეკემბერს მოპოვებულმა წარმატებამ — სათავის ნაგებობათა სისტემაში და შემდეგ უდაწნეო მილსადენში წყლის უნაკლოდ გატარებამ მშენებლები ახალ მიღწევათათვის საბრძოლველად აღაფრთოვანა. ისინი უკვე შეეჩვივნენ დაბრკოლებათა დაძლევას, კარგად აითვისეს წარმატებათა მოპოვების ოსტატობა, მაგრამ დახმარებას მაინც საჭიროებენ. არაგვისპირელი კოლმეურნეები მშენებლებს ყველა შესაძლებელ დახმარებას უწევენ. ამიერკავკასიის მეტალურგშენის ხელმძღვანელობაც ბევრს ეხმარება მათ. ამას წინათ მეტალურგმშენის უფროსის ამხ. ნ. გიორგაძის განკარგულებით ბულაჩაურში მშენებელთა დასახმარებლად მთელი ავტოკოლონა მიავლინეს, მაგრამ ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს კ. იმნაძეს „დაავიწყდა“ ავტომანქანები სათვლე ჯაჭვებით აღეჭურვა. უჯაჭვოდ კი ზამთარში ისეთ რელიეფზე, როგორზეც ამ კოლონას უხდება მუშაობა, ავტომანქანების ტარება სახიფათოა. მრავალი კუბმეტრი საშენი მასალის დანაკლისად უჯდებათ ყოველ დღეღამეში მშენებლებს კ. იმნაძის გულმავიწყობა, უფრო სწორად — გულგრილობა.

წყალი მოდის, თანდათან უახლოვდება დედაქალაქს ბულაჩაურის სუფთა წყალი.

დ. ლომთაძე

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი.

თარგმანი შესრულდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს- [illegible]

[illegible] ლო სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში შესაძლებლად აღიარებული. ამავე სტატიაში ლენინმა დაასაბუთა დებულება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. [illegible]

„რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში“, „რევოლუცია რუსეთში და ყველა ქვეყნის მუშათა ამოცანები“ და სხვები დაწერილია 1917 წლის თებერვლის რევოლუ- [illegible]

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ ვადამდე, 1951 წლის 21 დეკემბერს, 100,2 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

გასულ წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გადიდდა 12,5 პროცენტით.

გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ხორცის, ძეხვეულის, სამედიცინო პრეპარატების, ყველის, მოუხდელი რძის პროდუქტების, ნაყინისა და სხვა პროდუქციის გამოშვება.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები განაგრძობენ პროდუქციის გამოშვებას გეგმის გადამეტებით. (საქინფორმი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 21 დეკემბრის სხდომაზე მეცნიერთა ჯგუფს მიენიჭა გამოჩენილ რუს მეცნიერთა სახელობის პრემიები.

დიდი რუსი ფიზიოლოგის აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელობის ოქროს მედალი და პრემიები მიენიჭათ საბჭოთა ფიზიოლოგებს, რომლებიც ავითარებენ ი. პ. პავლოვის გენიალურ მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ, მედიცინის პრაქტიკაში ახორციელებენ მის იდეებს.

ი. პ. პავლოვის სახელობის ოქროს მედალი 1950 წლისათვის მიენიჭა აკადემიკოს კ. მ. ბიკოვს ი. პ. პავლოვის მემკვიდრეობის ნაყოფიერი განვითარებისათვის.

დიდად საინტერესოა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. ა. ასრატიანის შრომა, რომელიც შეეხება თავის ტვინის ქერქის როლს ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების აღდგენაში. ამ ნაშრომისათვის — „ცენტრალური ნერვული სისტემის კომპენსატორული შეგუება“ ე. ა. ასრატიანს მიენიჭა ი. პ. პავლოვის სახელობის პრემია 1950 წლისათვის.

ი. პ. პავლოვის სახელობის პრემია 1951 წლისათვის მიენიჭა პროფესორ ლ. გ. ვორონინს, რომელმაც განახორციელა ვრცელი ექსპერიმენტული გამოკვლევა პირობითი რეფლექსების შესახებ ი. პ. პავლოვის მოძღვრების შესაბამისად.

დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ნ. კ. ბალიაბოს ნაშრომი „სარწყავი ბამბის ზონის ნიადაგების აგრონომიული დახასიათება“. ამ შრომისათვის ავტორს მიენიჭა ვ. რ. ვილიამსის სახელობის პრემია.

მინიჭებულ იქნა აგრეთვე ვ. ლ. კომაროვის, ა. ა. უხტომსკის, პ. პ. სუშკინისა და პ. ნ. იაბლოჩკოვის სახელობის პრემიები.

პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება იანვრის დამლევს მოსკოვში მოაწყოს სამეცნიერო სესია „ლენინი და სტალინი ლიტერატურის შესახებ“. სესიას მოიწვევენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურისა და რუსული ლიტერატურის ინსტიტუტები. (საქდესი).

პროფკავშირული კრებები პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის შედეგების გამო

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებსა და საბჭოებს დაავალა მოაწყონ 1952 წლის 1 თებერვლამდე პროფკავშირული აქტივის კრებები ქალაქებსა და რაიონებში, მუშათა და მოსამსახურეთა კრებები საწარმოებსა და დაწესებულებებში.

რეკომენდებულია კრებებზე განიხილონ პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებანი, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1952 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ და დასახონ მათი შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი. (საქდესი).

ელექტროდენი ვოლგაზე

სტავროპოლი (კუიბიშევის ოლქი). (საქდესი). „კუიბიშევჰიდრომშენის“ კოლექტივმა სამუშაოთა კიდევ ერთი ეტაპი დაამთავრა. დიადი მშენებლობის ენერგეტიკოსებმა და ელექტრომემონტაჟეებმა გუშინ შეამოწმეს ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზი და მარჯვენა ნაპირის ქვესადგური.

დღეს „კუიბიშევჰიდრომშენის“ მთელ ენერგოსისტემაში ჩართულია დენი. ვოლგაზე გადაჭიმულ სადენებში ელექტროდენმა გაიარა. ამ ხაზით ელექტროენერგიას მიიღებს მშენებლობა.

ელექტროგადაცემის ხაზები და მარცხენა ნაპირის ქვესადგური, რომლებიც უკვე მოქმედებენ, რთულ ენერგეტიკულ სისტემას ქმნიან. ეს სისტემა უზრუნველყოფს მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანესი ობიექტისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას.

„კუიბიშევჰიდრომშენის“ ენერგოსისტემა სიმძლავრით ჩვენი ქვეყნის ბევრი სამრეწველო ცენტრის ენერგოსისტემებს არ ჩამოუვარდება.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

1952 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მომავალი წლის იანვარში ჩატარდება 1951 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მასობრივი დასკვნითი შემოწმება და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება 1952 წლისათვის.

ამ დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიების წარმატებით მომზადებისა და დროულად განხორციელების მიზნით პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს დაავალა:

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად უახლოეს დღეებში დააზუსტონ იმ საწარმოთა სია, რომლებშიც მომავალ წელს უნდა დაიდოს კოლექტიური ხელშეკრულება;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოო გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დამუშავებაში, აგრეთვე თვითეულ საწარმოში შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ანარიცხების გამოყოფაში, უზრუნველყონ წლის ბოლომდე თვითეული საწარმოსათვის მომავალი წლის გეგმების მიწოდება;

დროულად მოსთხოვონ პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს პროფბიუჯეტები, სოცდაზღვევის ბიუჯეტები და მთელი ის ცნობები, რომლებიც აუცილებელია ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად;

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოების ხელმძღვანელებთან ერთად დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საწარმოებთან არსებული სასპორტო ბაზების გაფართოების, მათი რემონტისა და მოწყობისათვის, დაამუშაონ ღონისძიებანი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის;

სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებას;

ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საწარმოთა ძირეულ პროფორგანიზაციებს მიმდინარე წლის ხელშეკრულებათა შესრულების შემაჯამებელ შემოწმებასა და ახალ ხელშეკრულებათა დადებისათვის მომზადების საქმეში.

გამოგონების განხორციელებით

ტყიბული. (საქ. კორ.). შრომითი რეზერვების № 4 სამთო-სამრეწველო სკოლაში ამ ერთი წლის წინათ პრაქტიკულად განხორციელდა მშენებელი ინჟინრის გ. ოყრომიძის მნიშვნელოვანი გამოგონება—საცხოვრებელი ბინების ახალი წესით თბობა.

სკოლის შენობის ქვედა სართულზე მოთავსებულ სამზარეულოს ღუმელში მოწყობილია წყალსათბობი ავზი, რომელსაც უერთდება რკინის წყალგამტარი მილები. სამსართულიანი შენობის სხვენში გამავალ საკვამლე მილში მოთავსებულია აგრეთვე მეორე, ევრეთწოდებული წყალშემკრები ავზი, რომელსაც უერთდება წყალგამტარი ორი მილი.

სამზარეულოში ცეცხლის დანთებისთანავე თბება წყალსათბობი ავზი, ხოლო საკვამლე მილში მიმავალი კვამლი ირგვლივ უვლის წყალშემკრებ ავზს და ათბობს მას. გამთბარი წყალი გადადის წყალშემკრებ ავზში, ხოლო აქედან ნაწილდება რადიატორებში და ათბობს ოთახებს. წყალი რადიატორებიდან კვლავ ბრუნდება იმავე წყალსათბობ ავზში და ასე წარმოიქმნება ცხელი წყლის განუწყვეტელი მოძრაობა მილგაყვანილობის წრეში.

ამ გამოგონების განხორციელებით დღემდე სკოლაში დაზოგილია სულ მცირე 150 ტონა ქვანახშირი და 10 კუბმეტრი შეშა, რითაც მიღწეულია 17.000 მანეთი ეკონომია.

ორდენებისა და მედლების გადაცემა

ბათუმი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშაკებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოები გადასცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ.

ლენინის ორდენი მიიღო 7 კაცმა, მათ შორის მეურნეობის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. კ. გოგიამ, უფროსმა აგრონომმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ნ. კალანდაძემ, ბრიგადირმა ამხ. მ. ტოკარევამ და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა 11 კაცს, მათ შორის ჩაის უხვი მოსავლის ოსტატს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ფრიძევას, ფ. დოლიძეს, პ. ვიშნიაკოვას და სხვ.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის" მიიღო 19 კაცმა, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის"—1 კაცმა.

ქუთაისი დღეს და ხვალ

★

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი

★

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში თბილისის ოლქთან ერთად შეიქმნა ქუთაისის ოლქი. ქალაქი ქუთაისი ქუთაისის ოლქის ცენტრია.

ქუთაისი ყოველთვის იყო საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ქალაქი. თავისი სამრეწველო მნიშვნელობით მან სამართლიანად მოიპოვა პირველი ადგილი თბილისის შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისმა სწრაფად იცვალა სახე. ამჟამად ქუთაისი ინდუსტრიული ქალაქია ათობით პირველხარისხოვანი ქარხნითა და ფაბრიკით.

ინდუსტრიული ქუთაისის სიამაყეა საავტომობილო ქარხანა. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან უკვე ჩამოდის ავტომანქანები.

ქუთაისის ქარხნის მიერ გამოშვებული ავტომანქანები ახლა უკვე მუშაობს დიდი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკასა და ოლქში.

გარდა საავტომობილო ქარხნისა, სტალინური ხუთწლედების წლებში ქუთაისში აშენდა ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგური, მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი", საკონსერვო ქარხანა, აბრეშუმის კომბინატი, ლითოპონის ქარხანა, მაუდის ფაბრიკა, ბარიტის ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, ტყავფეხსაცმლის კომბინატი, წისქვილკომბინატი, კირის, ქიმიური და მექანიკური ქარხნები, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, საშენ მასალათა ქარხანა, ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოები და ბევრი სხვა. ეს მსხვილი, საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებია.

ქალაქ ქუთაისის საწარმოებს დიდი ხვედრითი წონა აქვთ სოციალისტური საქართველოს მრეწველობაში. საერთო პროდუქციის გამოშვების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა ქალაქ ქუთაისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა. მიღწეულია ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება.

ქალაქ ქუთაისის მუშებსა და ინტელიგენციას სავსებით შეგნებული აქვთ, რომ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით ისინი ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცებას, ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომ აღმავლობას.

მაგრამ მრეწველობის მუშაობაში მიღწეული წარმატებანი, რა თქმა უნდა, ზღვარს არ წარმოადგენს. ქარხნებსა და ფაბრიკებში არის დიდი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი. ამოცანა ახლა ის არის, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს რეზერვები და სინამდვილედ ვაქციოთ ყველა არსებული შესაძლებლობა.

1952 წლისათვის ქუთაისის მრეწველობის წინაშე დასახულია ახალი გადიდებული ამოცანები. გადიდებულია საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა; ამავე დროს მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ხარისხი და შემცირდეს თვითღირებულება.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა მრეწველობის დარგში ის არის, რომ უფრო კონკრეტულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ ყოველ ქარხანასა და ფაბრიკას.

უნდა მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, ვინაიდან ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ქუთაისის მარკის მქონე პროდუქცია მხოლოდ საუკეთესო ხარისხისა იყოს.

მრეწველობის განვითარებამ საქალაქო მეურნეობაც წინ წასწია.

ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობას საბჭოთა ხელისუფლების წლებში 100 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა, აქედან 37,4 მილიონი მანეთი ომისშემდგომ ხუთწლედში.

აშენდა ბევრი კარგად მოწყობილი და ლამაზი საცხოვრებელი შენობა, ოთხსართულიანი სასტუმრო, ადმინისტრაციული სახლი; გაფართოვდა ელექტროქსელი, განხორციელდა მთელი რიგი ქუჩების რეკონსტრუქცია, მდინარე რიონზე გაკეთდა უკვე მეოთხე ხიდი, ხოლო თეთრი ხიდი გაფართოვდა.

ასეთია დღევანდელი ქუთაისი.

მაგრამ ქუთაისი უფრო უკეთესი იქნება მომავალში, ვინაიდან რაკი საოლქო ცენტრი გახდა, იგი უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდება როგორც ინდუსტრიული ქალაქი, განსაკუთრებით კეთილმოწყობის მხრივ.

ქალაქ ქუთაისის რეკონსტრუქციის ტემპები გადაჭრით უნდა გაძლიერდეს. უახლოეს 3-4 წლიწადში ქუთაისი უნდა გახდეს და გახდება კიდეც უფრო კეთილმოწყობილი, მწვანეში ჩაფლული ქალაქი, სოციალისტური საქართველოს ულამაზესი ქალაქი.

ამ პერიოდში ქალაქი ქუთაისი ძირფესვიანად შეიცვლება. მოკლე ჩამოთვლაც კი იმისა, რაც ქუთაისში უახლოეს წლებში აშენდება, მომავალი, ხვალინდელი ქუთაისის უაღრესად მკაფიო და წარმტაც სურათს გვიხატავს.

1952 წლიდან დაწყებული, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კულტურულ-საყოფაცხოვრებო, კერძოდ საბინაო მშენებლობას.

მიღებულია ზომები იმისათვის, რომ მომავალ წელს დამთავრდეს ქუთაისის დრამატული თეატრის ახალი შენობის აგება.

ქალაქის ცენტრში, სტალინის სახელობის მოედანზე დაიწყება პარტიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის ხუთსართულიანი მონუმენტური ადმინისტრაციული შენობის, მუზეუმისა და ორი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება. ეს შენობები მოპირკეთებული იქნება ბუნებრივი ქვით და გაფორმდება ქართული ეროვნული არქიტექტურის საუკეთესო მოტივების მიხედვით. რეკონსტრუირებულ იქნება ქალაქის ბაღი და მისი მომიჯნავე ქუჩები. ამრიგად, ქალაქ ქუთაისის ცენტრი ძირეულად შეიცვლის სახეს.

სტალინის ქუჩაზე აშენდება ავტოქარხნის, მაუდის ფაბრიკისა და ქარხანა „მაღაროელის" ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები. მარქსისა და არჩის ქუჩების კუთხეში, თბილისის ქუჩის ახლოს, აშენდება ორასადგილიანი საავადმყოფოს ახალი შენობა. ჩარკვიანის ქუჩაზე აშენდება ავტომექანიკური ტექნიკუმის ოთხსართულიანი კორპუსი.

დამთავრდება რუსთაველისა და ურიცკის ქუჩების კუთხის გაშენება 1905 წლის რევოლუციის ქუჩისა და ლერმონტოვის ქუჩის შესაყარში. პუშკინის ქუჩაზე აშენდება უშიშროების სახელმწიფო სამინისტროს საოლქო სამმართველოს ლამაზი ოთხსართულიანი შენობა. მაიაკოვსკის გზატკეცილის გაყოლებით აიგება სატყეო და სამთო ტექნიკუმების სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები. ფართოდ გაჩაღდება თბილისის ქუჩის გაშენება ორივე მხარეს და დამთავრდება თვით ქუჩის რეკონსტრუქცია.

ქუთაისის II სადგურის გაყოლებით ახლად გაყვანილ მაგისტრალზე აშენდება ქარხანა „მაღაროელის" სამმართველოს დიდი შენობა. ამ ქუჩას დაამშვენებს ვაგზლისპირა მოედანი, აგრეთვე მანქანათმშენებელ ქარხანა „მაღაროელის" კულტურისა და დასვენების პარკი.

ნინოშვილის ქუჩის მთავარ მაგისტრალზე, რომელიც ქალაქს რკინიგზის მთავარ ხაზთან აკავშირებს მაშველის სარწყავი არხის სამხრეთით, განზრახულია აშენდეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მონუმენტური შენობა და სტუდენტთა ქალაქი.

ჩამოთვლილი ობიექტების გარდა ქალაქში აშენდება ცენტრალური სტადიონი, ჰიპოდრომი, ფართოდ გაჩაღდება პარკების, სკვერებისა და ქუჩის გაზონების მშენებლობა.

დიდი გაქანებით იწარმოებს ქალაქის ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების რეკონსტრუქცია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მცირე არქიტექტურული ფორმების მშენებლობას, რომლებიც აგრეთვე დაამშვენებენ ქალაქს.

აი არასრული ნუსხა იმისა, რაც უახლოეს 2-4 წლიწადში გაკეთდება ქალაქ ქუთაისის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის დარგში.

ქუთაისი, სპორტის ეროვნული და სხვა სახეების მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქი, სპორტის განვითარების ახალ შესაძლებლობებს მიიღებს.

დროთა მსვლელობაში ქუთაისში აშენდება სანაპირო, რომელიც ქალაქის ნამდვილი მშვენება იქნება.

ქალაქ ქუთაისის სამრეწველო მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გრანდიოზული პროგრამის შესასრულებლად საჭირო იქნება სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. უნდა გავაძლიეროთ სამშენებლო სამუშაოთა ტემპები და გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი.

ქუთაისი ძველთაგანვე განთქმულია მშენებელთა უბადლო ხელოვნებით. შთამომავლობას მამა-პაპისაგან გადმოეცემოდა ქვის ხუროთა შესანიშნავი ოსტატობა. მათი ხელით შექმნილია ქართული ხუროთმოძღვრების დიდებული ქმნილებანი, რომლებიც შესულია მსოფლიო არქიტექტურის საგანძურში.

ჩვენს საბჭოთა ეპოქაში განუზომლად ამაღლდა მშენებელთა შრომის მნიშვნელობა. ახალი მშვენიერი თვისებებით გამდიდრდა ამ კეთილშობილური შრომის საუკუნეობით ჩამოყალიბებული ტრადიციები. საბჭოთა ქვეყანაში მშენებლები კაცობრიობის ისტორიაში პირველად მუშაობენ არა მდიდრებისათვის, არა მუქთახორებისათვის, არამედ თავისთვის, თავისი ხალხისათვის, თავისი სამშობლო ქალაქისათვის.

ქუთაისელებს ჭეშმარიტად დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ, რომ აშენებენ თავიანთ სამშობლო ქალაქს, ამშვენებენ მას და ფიქრობენ, რომ ყოველივე ის, რაც ახლა შენდება, თვალს უნდა ახარებდეს, გამძლე, კარგად მოწყობილი, ლამაზი უნდა იყოს. ამიტომ ქუთაისის მშენებელთა საბრძოლო ლოზუნგია აშენონ ლამაზად, მკვიდრად.

მიუხედავად ამისა სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების ცალკეული მუშაკები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხს. ოღონდ ააშენონ, ხოლო როგორ ააშენეს, როგორია ხარისხი, სიმკვიდრე, სილამაზე — ეს მათ არ აინტერესებთ.

რა თქმა უნდა, ასეთი „მშენებლები" დიდ ზიანს აყენებენ საქმეს, და ამიტომ ისინი უყოყმანოდ უნდა მოეხსნათ დაკავებული პოსტებიდან.

პარტიამ, მთავრობამ და პირადად ამხანაგმა სტალინმა სამშენებლო სამუშაოთა სწრაფი ტემპისა და მაღალი ხარისხისათვის საჭირო ყველა პირობა შექმნეს.

ჩვენი მშენებლობანი აღჭურვილი არიან მძლავრი, დიდი წარმადობის მექანიზმებით, რომლებიც მშენებლებს შრომას უადვილებენ. წარმატებით მიმდინარეობს ახალი ეფექტიანი საშენი მასალების მასობრივი წარმოების ათვისება. შრომის თვით სოციალისტური ორგანიზაცია ხელს უწყობს იმ ახალგაზრდა მუშების სწრაფ დახელოვნებას, რომლებითაც განუწყვეტლივ ივსება მშენებელთა კადრები.

და როცა ამ პირობებში ვხვდებით სამრეწველო და საქალაქო მშენებლობაში სამუშაოთა ცუდი ხარისხის ფაქტებს, ეს სრულიად შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ.

საჭიროა ვაშენოთ ისე, რომ უკლებლივ ყველა შენობა შეესაბამებოდეს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. ფაქტები კი იმას მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სამუშაოთა ხარისხისადმი დაუდევარი, ზოგჯერ ხალტურული დამოკიდებულება. ცალკეულ მშენებელთა მიერ დაშვებული უხეში წუნი არაერთხელ ყოფილა აღნიშნული აგებულ სახლთა და ნაგებობათა მიმღები სახელმწიფო კომისიების აქტებში.

უნდა ითქვას ისიც, რომ სამშენებლო ტრესტებსა და სამმართველოებში, სოციალისტური მრეწველობის ბევრი სხვა დარგისაგან განსხვავებით, საკმაო ყურადღებას არ უთმობენ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხს და სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ ცოტა გვყავს საუკეთესო ხარისხის ბრიგადები. პირდაპირ თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს ბრიგადები, უბნების კოლექტივებზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომლებსაც დღეს შეიძლება ჰქონდეთ ამ მაღალი წოდების მიღების პრეტენზია.

ცუდად არის დაყენებული ჩვენი მშენებლების მიერ შეძენილი მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაც. მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა კი აბსოლუტურად აუცილებელია, ვინაიდან მოწინავე მაგალითის ძალა მეტად დიდია.

სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის ძირეული გაუმჯობესება ახლა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს; სამშენებლო სამუშაოთა საუკეთესო ხარისხისათვის სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობებზე პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში უნდა იყოს. საუკეთესო მუშაკების ყოველმხრივ წახალისებასთან ერთად ულმობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ წუნის მკეთებლების წინააღმდეგ, აგრეთვე მათ წინააღმდეგ, ვინც მათ ლმობიერად ეკიდება. ყოველ მშენებლობაზე უნდა შევქმნათ დაუდევარი და მით უმეტეს ხალტურული მუშაობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება.

მრავალი ფაქტი, პრაქტიკა მოწმობს, რომ წუნის მკეთებლები თავს კარგად გრძნობენ იქ, სადაც შრომა ცუდად არის ორგანიზებული, სადაც არ არის კონტროლი და გამეფებულია გაუპიროვნება.

ეს გასაგებიც არის. სწორედ ასეთ პირობებში, რომლებიც უპასუხისმგებლობას წარმოშობენ, ძნელი, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც არის გამორკვევა, თუ ვის მიუძღვის ბრალი წუნის კეთებაში. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — ბოლშევიკური შეუპოვრობით აღმოვფხვრათ გაუპიროვნება და ვაწარმოოთ ურთიერთ კონტროლი მუშაობაში, უზრუნველვყოთ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებისათვის.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან განუმარტონ მუშებს, სპეციალისტებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს თვითეული მუშა, რომელიც ასრულებს ცალკეულ ოპერაციებს აგურის წყობაზე, მონტაჟში, შებათქაშებაში, სამღებრო, პარკეტის დაგების, მოსაპირკეთებელ და სხვა სამუშაოებში.

ცხადია, რომ მებათქაშეს უადვილდება მუშაობა, როცა კედელი კარგად არის აყვანილი, მღებავს ახარებს კარგად მომზადებული ზედაპირი, რადგან ყოველივე დანარჩენს გარდა მას უადვილდება მუშაობა, მეპარკეტეს ახარებს კარგად გაკეთებული შავი იატაკი, რადგან მას უადვილდება პარკეტის კარგად დაგება. ასეა მშენებელთა თვითეულ პროფესიაში.

თვითეულ მშენებელს უნდა განვუმარტავდეთ, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მისი შრომის მაღალ ხარისხს, ეს აღმზრდელობითი მუშაობა დღეს მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ჩვენი მთავრობა საოლქო ცენტრის —ქალაქ ქუთაისის რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას ათეულ მილიონობით მანეთს მოახმარს. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც ამ ფულით აშენდება, მხოლოდ საუკეთესო ხარისხისა უნდა იყოს.

ქალაქ ქუთაისის მშენებლობის დიდ გაქანებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდია არქიტექტორების როლი. ქალაქის მშენებლობათა მაღალი ხარისხისათვის, შენობების მაღალი ტექნიკური და მხატვრული დონისათვის ბრძოლა ქალაქ ქუთაისის არქიტექტორთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საოლქო და საქალაქო აღმასკომების არქიტექტურული სამმართველოები ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ისინი მუშაობას ეწევიან განკერძოებით, კარჩაკეტილად, პროექტების შიდვინასა და განხილვაში არ იზიდავენ დენდროლოგებსა და მხატვრებს, რაც არასწორად უნდა ჩაითვალოს.

ქუთაისში ბევრია საკავშირო მნიშვნელობის საწარმო, რომელიც საბინაო მშენებლობას ეწევა, მაგრამ ამ საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი რატომღაც ტენდენციას იჩენს საცხოვრებელი სახლები აშენოს განაპირა უბნებში და აშენოს მცირესართულიანი სახლები, რაც სრულიად დაუშვებელია. ამ უვარგისი პრაქტიკის შედეგია ის, რომ ქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილ ცენტრალურ ნაწილში, მთავარ მაგისტრალებზე და მოედნებზე მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს. ეს შეუწყნარებელია.

ამასთან ეს სამეურნეო მუშაკები ცდილობენ ასეთი პრაქტიკა იმით გაამართლონ, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საჭირო ხდება ბევრი სახლის აღება და ამაზე ბევრი ფულის ხარჯვა. მაგრამ თუ ისინი სწორად ივარაუდებენ, დაინახავენ, რომ როცა სახლი დაუსახლებელ ადგილზე შენდება, ხარჯები მეტია, რადგან ეს მოითხოვს ქალაქის კომუნიკაციების — წყალსადენის, კანალიზაციის და სხვ. მშენებლობას.

ქუთაისის პირობებში არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს მცირესართულიანი სახლების შენება. როგორც წესი, ქუთაისში ოთხ-ხუთსართულიანი სახლები უნდა შენდებოდეს. მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა უფრო ეკონომიური და ხელსაყრელია.

დიდი სახლები არა მარტო ამშვენებენ ქალაქს, არამედ უფრო კაპიტალური არიან და მეტ ხანს ძლებენ.

რა თქმა უნდა, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს საჭიროა მარტო ქალაქის მხოლოდ ცენტრის კეთილმოწყობა. კეთილმოწყობილ უნდა იქნას განაპირა უბნებიც. არავითარი დაპირდაპირება აქ არ შეიძლება და არც უნდა მოხდეს. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ასაგები საცხოვრებელი სახლის ერთი კვადრატული მეტრის კეთილმოწყობა ახალ ტერიტორიაზე უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც სახლები იმდენად მწყრია, რომ ისინი აღებულ უნდა იქნას, მაგრამ სადაც უკვე არის ქალაქის მეურნეობის ყველა კომუნიკაცია.

ქუთაისელებს ძლიერ უყვართ თავიანთი ქალაქი. ისინი ამაყობენ იმით, რომ ცხოვრობენ ქალაქში, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა დიდი სტალინი. საქართველოს უძველეს ქალაქ ქუთაისს მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი ყველაზე ნათელი და ყველაზე ბრწყინვალე ფურცლებია ისინი, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი ქუთაისის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

1903 წლის 19 აპრილს ამხანაგი სტალინი ბათუმის საპყრობილიდან გადაყვანილ იქნა ქუთაისის საპყრობილეში. პატიმრობაში მყოფი ამხანაგი სტალინი რევოლუციურ მუშაობას განაგრძობდა და კავშირი ჰქონდა დამყარებული ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან.

1904 წლის იანვარში ამხანაგი სტალინი ციმბირის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ ქუთაისში ჩამოდის და კვლავ უშუალოდ ხელმძღვანელობს რევოლუციურ ბრძოლას.

ამხანაგმა სტალინმა თავის თანამებრძოლებთან ერთად ქუთაისის გუბერნიაში მოაწყო დისკუსია, რომლის დროსაც ამარცხებდა მენშევიკებს და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, მტკიცედ იცავდა ლენინურ ხაზს.

ქუთაისში რევოლუციური მუშაობის პერიოდში—1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამხანაგმა სტალინმა დაწერა თავისი ცნობილი „წერილები ქუთაისიდან".

ქუთაისელები სიყვარულით უვლიან და იცავენ დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებს.

ამიტომ სავსებით გასაგებია თვითეული ქუთაისელის სურვილი — ნახოს ქუთაისი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი, დიდი სტალინური ეპოქის შესაფერი.

ქალაქ ქუთაისის მშენებლობა და რეკონსტრუქცია მთელი საოლქო პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა.

კომუნიზმისათვის ქუთაისელების ბრძოლაში განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს სტალინური რევოლუციური ტრადიციების სიდიადე და ძალა.

სტალინური ტრადიციები — აი რა აღაფრთოვანებს და რაზმავს ქალაქ ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციას და ყველა მშრომელს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ქუთაისელთა ახალი გამარჯვებების საწინდარია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მამობრივი ზრუნვა სახელოვან ქალაქ ქუთაისის შემდგომი აყვავებისათვის.

ვაზისუბნის ექსპერიმენტული ბაზა

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის ვაზისუბნის (გურჯაანის რაიონი) ექსპერიმენტული ბაზა (გამგე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დ. გიაშვილი). ვენახის სელექციისა და აგროტექნიკის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ვ. ლოლაძე, გ. მაზანაშვილი და უმცროსი მეცნიერი მუშაკი ს. გოგიშვილი.

ბაზის ძირითადი დანიშნულებაა ექსპერიმენტული გამოკვლევები მოსავლის შემდგომი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ბაზაში მოწყობილია მარანი 2.000 დეკალიტრი ღვინის ტევადობისა. ახლახან მოეწყო მეღვინეობის ლაბორატორია. ბაზა მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მევენახეობასა და მეღვინეობაში მოპოვებული მეცნიერული მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის. წელს კოლმეურნეობებში მოეწყო გამსვლელი სესიები და წაკითხულ იქნა 17 პოპულარული ლექცია. ბაზის ტერიტორიაზე გაშენდა საცდელი ნაკვეთები ვაზის დარგვის სიღრმის, მეთოდიკის და ფორმირების დადგენის მიზნით. მოეწყო აგრეთვე ფილოქსერაგამძლე ახალი კოლექცია.

სასელექციო ნაკვეთზე ხდება ვაზის ჯიშების შესწავლა როგორც ფენოფაზების მიხედვით, ისე სამეურნეო თვალსაზრისით. ფილოქსერაგამძლეობის გაძლიერების მიზნით 0,15 ჰექტარზე მოწყობილია სასელექციო ნაკვეთი. ბაზის მიერ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებაში" დამყნობილია 10.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის ვაზი. ამავე კოლმეურნეობაში გააშენეს კრონთა და ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი, სადაც ტარდება ცდები ფილოქსერაგამძლე ვაზის ჯიშების გამოყვანისათვის.

ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს მევენახეობის აგროტექნიკასა და ღვინის ტექნოლოგიაში. აქ ცდებით დადგენილია, რომ სარწყავ პირობებში სასუქების გადიდებულმა დოზებმა გამოიწვია მოსავლიანობის 25-30 პროცენტით გადიდება.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ნიადაგისა და კლიმატური პირობების მიხედვით საძირეების შერჩევისათვის.

ექსპერიმენტული ბაზა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ

წალენჯიხის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე კ. ნაჭყებია) და პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავენ მოსავლის გადიდებისათვის. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, არღვევენ აგროწესებს, არის საკოლმეურნეო თანხების განიავების შემთხვევა. ყოფილ თავმჯდომარე ი. მიქავაზე 1949 წლიდან ირიცხება 5.500 მანეთი. შეუმოწმებელი ხელწერილებით კვარაცხელიას ჩამოეწერა 800 მანეთი, ბრიგადირ პარმენ სახოკიას—ჩაის საყდლად საქვეანგარიშოდ მიღებული 2.502 მანეთი, გ. ხარიას — დაფნის საფასური — 6.666 მანეთი, ბ. კალანდიას—1.580 მანეთი, დ. ციმიტიას — 450 მანეთი.

ზოგჯერ ნაღდ ანგარიშზე იძენენ საქონელს იმ საწარმოებიდან, რომლებსაც სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებაში ანგარიში გახსნილი აქვთ. ასე შეძენილი 12.114 მანეთის ბენზინი, სატვირთო ავტომანქანის მოსამშლელი 7.000 მანეთად. ხშირია დიდი თანხის გაცემა წინათ მიღებული თანხების დაფარვამდე. სხვადასხვა პირებზე კოლმეურნეობის 121.201 მანეთი ირიცხება.

თანხების ხარჯვა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით არ ხდება. სამუშაოთა შესასრულებლად მუშახელის დაქირავებაზე გათვალისწინებულის გადამეტებით დახარჯულია 29.206 მანეთი, საწვავის შესაძენად — 5.539 მან., ფურაჟზე — 3.078 მანეთი. კოლმეურნეობას მცირე ზარალს როდი აყენებს წალენჯიხის მტს-ის დირექცია (დირექტორი ი. ლუკავა) უსულგულო მუშაობა. ტრაქტორებით საყანე ფართობების დამუშავება და ჩაის პლანტაციების კულტივაცია დაბალხარისხოვნად სრულდება, მტს-ი არ ფარცხავს ნახნავს. მტს-ის ასეთ მოქმედებას და კოლმეურნეობაში არსებულ მდგომარეობას რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები რატომღაც უყურადღებოდ სტოვებენ.

ვ. მესხია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საანგარიშო დარგის მუშაკთა გადამზადება

ლენინგორი. (საქ. კორ.). რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ გამსხვილებული კოლმეურნეობებისათვის მოანგარიშე-ბუღალტრების გადასამზადებლად გახსნა კურსები, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებს 25 მსმენელი.

ახლახან მოეწყო კურსების მსმენელთა გამოშვება. მომზადების მაღალი დონე გვიჩვენეს კურსდამთავრებულებმა: ო. ვალიშვილმა (ახალდაბა), ვ. მარგიევმა (ცხილონი), ვ. ქენქაძემ (მადლაანი), ს. ჩარაევმა (ბაგინი) და სხვ.

თ ე ა ტ რ ი

„ადამიანებო, იყავით ფხიზლად!"

რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

სპექტაკლი „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!" განხორციელდა რუსთაველის სახელობის თეატრის კომკავშირის ორგანიზაციის თაოსნობით და მიეძღვნა მშვიდობისათვის მებრძოლთ. თეატრის ახალგაზრდობა დიდი მონდომებით მუშაობდა სპექტაკლის შექმნაზე.

პიესა დაწერილია რუსთაველის სახელობის თეატრის ახალგაზრდა ძალების — რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილისა და მსახიობ კოტე მახარაძის მიერ ჩეხოსლოვაკიის სახალხო გმირის — იულიუს ფუჩიკის საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოების მიხედვით — „რეპორტაჟი სახრჩობელიდან".

რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა მონახა პუბლიცისტ ფუჩიკის მხატვრული სტილის შესატყვისი სცენიური ფორმა, რითაც სპექტაკლს შეუნარჩუნა არა მარტო ფუჩიკის ნაწარმოების საბრძოლო მგზნებარება, არამედ აგრეთვე მისი დამახასიათებელი შემოქმედებითი იერიც, ფუჩიკის წერის მანერაც.

მუსიკა (კომპოზიტორი სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. მაჭავარიანი) დაწერილია ჩეხური ხალხური მოტივების მიხედვით და სპექტაკლში მრავალფეროვნად არის გამოყენებული. დეკორაციული გაფორმება (მხატვარი სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი) ფაქიზი გემოვნებით არის შესრულებული და ოსტატურად შერწყმულია დადგმის მთლიან ხასიათთან. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღის სახასიათო ნაგებობათა დეტალების გამომსახველ ჩარჩოში თანმიმდევრობით თავსდება ფერწერით შესრულებული სცენებისათვის საჭირო დეკორაციები: პატარა სუფთა ოთახი იატაკქვეშ მომუშავე ელინეკებისა, პრაღის ქუჩა აყვავებული ხეებით, ციხის ყრუ კედელი, სანაპირო და ხიდი, ციხის საკანი, რომელშიც ფუჩიკია მოთავსებული. წინა პლანზე იმყოფება სპექტაკლის წამყვანი, რომელიც რეჟისორის ჩანაფიქრით ორგანულად არის დაკავშირებული მოქმედებასთან.

წამყვანი პიესაში მოცემულია როგორც ი. ფუჩიკის წიგნის მკითხველის განზოგადებული სახე. თავისი ტექსტით ის არა მარტო აკავშირებს ერთმანეთთან ცალკე სცენებს, არამედ, რაც მთავარია, ჰიტლერელთა და ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა მამხილებელიც არის.

წამყვანი მიუძღვის მთელ სპექტაკლს, აძლევს მას ამაღელვებელი სასცენო რეპორტაჟის ხასიათს და ხაზს უსვამს მის პოლიტიკურ სიმახვილეს. წამყვანის როლის შემსრულებელი — გ. გეგეჭკორი ოსტატურად არის დაუფლებული სიტყვას. მისი ყოველი სიტყვა მახვილი და ღრმა აზრის შემცველია. მსახიობი მუდამ დაკავშირებულია მოქმედებასთან, ყველაფერს, რაც სცენაზე ხდება, სწრაფი რეაქციით უპასუხებს და მაყურებელთა დარბაზის დაძაბულ ატმოსფეროს აძლიერებს.

ურდრეკი ნებისყოფის, მგზნებარე კომუნისტის იულიუს ფუჩიკის როლს შინაგანი მგზნებარებითა და რომანტიკული გატაცებით ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი კოტე მახარაძე. იგი თავისი გმირის მრავალმხრივ სცენიურ დახასიათებას იძლევა. მისი ფუჩიკი შესანიშნავი პუბლიცისტია, მტკიცე მებრძოლი, გულისხმიერი მეგობარი. მას გატაცებით უყვარს სიცოცხლე, მაგრამ მზად არის თავი შესწიროს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას.

ახალგაზრდა მსახიობმა წარმატებით შეძლო მიეტანა მაყურებლამდე ის ძირითადი აზრი, რომ კომუნისტი ი. ფუჩიკი მოკვდა გამარჯვებული და გვიანდერძა გვიყვარდეს სიცოცხლე, ვიბრძოდეთ მისთვის.

ი. ფუჩიკთან ერთად საკანში კიდევ ორი პატიმარია: სახალხო სკოლის მასწავლებელი იოზეფ პეშეკი და კომუნისტი კარელ მალეცი.

პეშეკი პატიოსანი ინტელიგენტია. მას უყვარს თავისი სამშობლო. კომუნისტებთან ურთიერთობაში მისთვის ბევრი რამ ხდება გასაგები. იგი სასოებით ლაპარაკობს დიდი ბელადის შესახებ და კომუნისტებთან ერთად აღგზნებით მღერის ინტერნაციონალს. იოზეფ პეშეკი სამოცი წლისაა, მთელი თავისი სიცოცხლე ბავშვების აღზრდას მოახმარა, რამაც მის ხასიათს თავისებური კვალი დააჩნია. მოხუცი მასწავლებლის ხასიათის ამ თავისებურებას ოსტატურად იყენებს პეშეკის როლის შემსრულებელი მსახიობი ე. მანჯგალაძე და რბილი ჰუმორით გამოჰკვეთს კეთილი და მომხიბლველი ადამიანის შესანიშნავ სახეს.

კარელ მალეცის — ტიპიური მუშა-კომუნისტის როლს კარგად ასრულებს მსახიობი გ. ქორიძე. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მისი საკონცენტრაციო ბანაკში წაყვანის სცენა. იგი მეტყველი ხერხებით გადმოსცემს მუშა-კომუნისტის ურყევ სულიერ ძალას.

ი. ფუჩიკის საკანში კიდევ ერთ პატიმარს ვხედავთ. ეს არის ძია სკორეპა (მსახიობი ს. ისნელი). სკორეპას ყველა საკანში შესვლის უფლება აქვს, იგი ადმინისტრაციამ „კეთილგონიერ" პატიმრად მიიჩნია და მედერეფნედ, საჭმლის დამტარებლად დანიშნა. ამით მოხერხებულად სარგებლობს კომუნისტი სკორეპა და ფაქტიურად ტუსაღთა შორის მეკავშირის როლს ასრულებს. მსახიობი ს. ისნელი კარგად ასრულებს ამ რთულ როლს.

იმათ რიცხვს, ვისაც ი. ფუჩიკი ნამდვილ ადამიანებს უწოდებს, მიეკუთვნება აგრეთვე ციხის ზედამხედველი კოლინსკი. იგი ჩეხი პატრიოტია. მოძმეებს რომ დაეხმაროს, თავი გერმანელად გაასაღა და ციხის ზედამხედველობა იკისრა. კოლინსკი ის ადამიანია, რომელმაც ხელი შეუწყო ი. ფუჩიკს ციხეში დაეწერა თავისი მგზნებარე ნაწარმოები „რეპორტაჟი სახრჩობელიდან". კოლინსკის როლს ასრულებს მსახიობი ი. ჯინჯიხაძე. მსახიობმა როლი კარგად დასძლია. მისი სანდომიანი, გარეგნულად მშვიდი და თავდაჭერილი კოლინსკი მაყურებლის პატივისცემას იმსახურებს.

ის თავდაჭერა და შინაგანი დისციპლინა, რომელიც ესოდენ ახასიათებს კოლინსკის, არა აქვს მირეკს. მირეკის როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი მ. თაბუკაშვილი. პირველ სცენაშივე, როდესაც მირეკი უკმაყოფილებას გამოსთქვამს კონსპირაციის გამო, უკვე იგრძნობა, რომ იგი შინაგან დისციპლინას მოკლებულია; ამიტომ არის, რომ დაპატიმრებულმა მირეკმა წამებას ვერ გაუძლო, და ფაშისტმა ბარბაროსებმა გამოგლიჯეს მას გამცემლური სიტყვები. მსახიობი თაბუკაშვილი მშვენივრად ასრულებს შეყვარებულ ქალთან — ლიდა პლახასთან შეხვედრის სცენას. ლიდა პლახას სილა უკანასკნელი დარტყმაა გამცემისათვის. მსახიობი ოსტატური თამაშით არწმუნებს მაყურებელს, რომ მორალური სიკვდილი ფიზიკურზე უფრო საშინელია.

ლიდა პლახას როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა. მისი შესრულებით ლიდა პლახა სიცოცხლით სავსე, ქალიშვილია(?), მაგრამ ამავე დროს მტკიცე მებრძოლი კომუნისტი ქალია. იგი გულწრფელია სიყვარულის გრძნობის გამოხატვისას, გულწრფელია სიხარულის დროს და არაჩვეულებრივ ძალას იჩენს, როდესაც ციხეში ყოფნის დროსაც კი ფრიად პასუხსაგებ დავალებას ასრულებს.

ფაშისტ გამომძიებელ ბემის როლს ოსტატურად ასრულებს მსახიობი ნ. ჩხეიძე. მისი ბემი გაიძვერა და ფარისეველია. იგი ატარებს ზრდილი ადამიანის ნიღაბს, შინაგანად კი გაშმაგებული ფაშისტი მხეცია.

მეორე ფაშისტი გამომძიებლის—ფრიდრიხის როლის შემსრულებელ მსახიობ ი. ქურხულის აქტიორული ხერხები, ვერ არის ჯერ კიდევ სრულყოფილი, ამიტომ მისი შესრულება ზედაპირულია.

ზედამხედველი სმეტონსი მსახიობ მ. გეგეჭკორის შესრულებით ფაშისტური სიჩლუნგის გამომსახველია. მსახიობი ოსტატურად ქმნის სმეტონსის გამოკვეთილ სახეს, თუმცა ის მკვეთრი ხერხები, რომლებსაც მ. გეგეჭკორი იყენებს, მთლიანად როდი ეგუება სპექტაკლის საერთო ტონს.

კარგად ასრულებენ თავიანთ როლებს მსახიობები: ვ. სულაქველიძე — კომუნისტი მუშა იოზეფ ელინეკი, ე. ვაჩნაძე — მისი ცოლი, დ. შაიშმელაშვილი — მეკავშირე კომუნისტი ვაცლავი, რ. ჩხიკვაძე — ახალგაზრდა მუშა ზდენეკი და გ. სალარაძე — ჯარისკაცი ფლინკი.

სპექტაკლში გუსტინა ფუჩიკს მხოლოდ ორი ეპიზოდი აქვს დათმობილი. მართალია, ი. ფუჩიკის „რეპორტაჟი სახრჩობელიდან" არ იძლევა საკმაო მასალას მისი სახის შესაქმნელად, მაგრამ მსახიობი თ. თეთრაძე კარგად ასრულებს ამ ეპიზოდურ როლს და ქმნის გუსტინა ფუჩიკის გულწრფელ სახეს. გუსტინა იულიუს ფუჩიკის მებრძოლი მეგობარია, ამიტომ სასურველი იყო პიესაში მას მეტი ადგილი ჰქონოდა დათმობილი.

რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი მაღალიდეური სპექტაკლი „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!" თეატრის ახალგაზრდა ძალების მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

ელ. შაფათავა

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე პ ო ე ტ ე ბ ი

დუშეთი. (საქ. კორ.). არაგვის ხეობის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობაში ცხოვრობს კოლმეურნე პოეტი გიორგი გულაშვილი, რომელმაც წერა-კითხვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისწავლა, როცა იგი 25 წლის იყო. მის ლექსებს, რომლებიც ლენინისადმი, სტალინისადმი და სოციალისტური სამშობლოსადმია მიძღვნილი, მღერიან რაიონის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

გ. გულაშვილი სტახანოველი კოლმეურნეა. იგი აქტიურად თანამშრომლობს რაიონულ გაზეთსა და კოლმეურნეობის კედლის გაზეთში.

რაიონში ცნობილია ახალგაზრდა კოლმეურნე პოეტი ნიკო ბულალაური. ბულალაურს დაწერილი აქვს მრავალი ლექსი, რომლებშიც შთაგონებით უმღერის საბჭოთა ხალხის დიდ ბელადებს—ლენინსა და სტალინს, გმირ საბჭოთა არმიას, დიად სამშობლოს, ბედნიერ საკოლმეურნეო ცხოვრებას, მშვიდობას.

კოლმეურნე-მეწველი პოეტი სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, სწავლობს რუს და ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებას, კითხულობს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ჩვენს დიად ეპოქას გულწრფელად უმღერიან თავიანთი ლექსებით აგრეთვე ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრი გიორგი მარცვალაშვილი, მაღაროსკარელი ალექსი ხუცურაული, გუდამაყრის ჩარგვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გოგა ბექაური და მრავალი სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1951 წლის 19 დეკემბერს

მე მომყავს ამ ოქმის შემდეგი ნაწილი.

ვორისი: „მე სავსებით გეთანხმებით. ვიცი, რომ, თუ გამოვნახავთ საამისო გზას, უნდა შევუნარჩუნოთ მათ ეროვნული მაჩვენებლები: პოლკის დროშები, ნიშნები და სხვა ამგვარი, როგორც, უეჭველია, ევროპის არმიის შენაერთებს შეუძლიათ გააკეთონ, თუმცა მათ შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი ფორმა. ამით დაიზოგებოდა მნიშვნელოვანი თანხები იმასთან შედარებით, რაც საჭირო იქნებოდა, ისინი რომ ჩაგვერიცხა ამერიკელთა ძალებში, სადაც ჩვენ უფრო დიდი ჯამაგირი და შესაბამი ხარჯები გვაქვს, ვიდრე ევროპის ქვეყნებში".

მაშასადამე: ეს „ადგილგადანაცვლებული პირები" რომ სურთ იყიდონ, — ამასთან სურთ იაფადაც იყიდონ, — სურთ ეკონომია გასწიონ ამაზე, რადგან ამერიკელ ჯარისკაცებს, ამბობენ, უფრო მეტი ხელფასი უნდა მიეცეთ, ხოლო ამათ... მაწანწალებს, — დაე მთარგმნელმა გამინახოს შესაბამისი სიტყვა, მე მისი დიდი მადლობელი ვიქნები, — მაწანწალებს, მოხეტიალეებს (ვაგაბონდი, ფრანგულად) — ამათ შეიძლება ნაკლებიც მიეცეთ. წმინდა ამერიკული ყაირათიანობაა, თანაც სავსებით „დემოკრატიული" და „პროგრესული". მაგრამ აი რა არის საინტერესო: სურთ შეუნარჩუნონ მათ ეროვნული მაჩვენებლები — პოლკის დროშები, ნიშნები, სამხედრო განმასხვავებელი ნიშნები და სხვ. და ყოველივე ეს მოგვაჩვენონ, როგორც ეროვნული არმია, რომელიც მიდის თავისი სამშობლოს „განთავისუფლებლად!" განა საჭიროა ვილაპარაკო იმაზე, რომ საბჭოთა ხალხი ღირსეულად დახვდება ამ „განმთავისუფლებლებს", რომლებსაც იგი უკვე არაერთხელ დახვედრია, როცა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობას აწყობდა 14 სახელმწიფო ცნობილი ბელადების მეთაურობით, — და უკანმოუხედავად მოუკურცხლავთ შინისკენ.

საგარეო საქმეთა კომისიაში კომისიის ბევრმა წევრმა მიიღო მონაწილეობა ამ სამხედრო შენაერთთა საკითხის განხილვაში. მაგალითად, თავმჯდომარემ ბ-ნმა კარნახანმა, როგორც ოქმშია აღნიშნული, იკითხა: რა წყაროდან უნდა მიიღოს ამ არმიამ მოწყობილობა, ჯამაგირი, კვება? „მე ვფიქრობ, — უპასუხა კომიტეტის წევრმა ვორისმა, — რომ ეს ერთ-ერთი ის საკითხია, რომელიც დამუშავებულია გენერალ ეიზენჰაუერის ხელმძღვანელობით ევროპის არმიისათვის, რომლის შემადგენლობაშიც მათ ერთნაირი ფორმა ექნებათ და ერთიანი სარდლობა ეყოლებათ". ხოლო მას არ უთქვამს: მაგრამ არა ერთიანი კვება, რამდენადაც კვება, როგორც ჩვენ დავინახეთ, გათვალისწინებულია უფრო იაფი. და მან შემდეგ თქვა: „ეს, ჩემი აზრით, განხორციელდება ევროპის ქვეყნების შენატანებით და, ვფიქრობ, ბოლოს, შეერთებული შტატების შენატანებით". მაშასადამე, ევროპის ქვეყნები შეიძლება კმაყოფილი იყვნენ, რომ მათ მოსთხოვენ რაღაც დამატებით შენატანებს ამ დალოცვილი საქმისათვის. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ბ-ნი ვორისი და, ალბათ, ბ-ნი მენსფილდიც.

ნება მიბოძეთ ვიკითხო, რას მოწმობს ეს ოქმი? ის მოწმობს იმას, რომ 1951 წლის 10 ოქტომბრის კანონის მომზადების დროს მისი ავტორები ისახავდნენ პირდაპირ მიზანს: შეაგროვონ სსრ კავშირიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გაქცეულ სამხედრო დამნაშავეთა და მოღალატეთაგან დაქირავებული ჯარისკაცები, რათა გამოიყენონ ისინი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში და, როგორც კანონშია ნათქვამი, სამხედრო შენაერთების შექმნისა ან სხვა მიზნებისათვის, ესე იგი ძირგამომთხრელი აქტებისათვის, შინაგანი კომუნიკაციების დარღვევისათვის, ტერორისათვის, დასასრულ, იმისათვის, რომ ჩააბან ისინი ძმათამკვლელ ომში საკუთარი ქვეყნების წინააღმდეგ.

18 აგვისტოს ჟურნალ „კონგრესის რეკორდში" მოყვანილია განცხადება ბ-ნ კერსტენისა, რომელიც დაწვრილებით ლაპარაკობს გაქცეულთა დაქირავებული არმიის ჩამოყალიბების ამ გეგმებზე, რათა მოამზადოს ლაშქრობა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ განცხადებაში კერსტენი ამბობს, რომ საჭიროა დაიძრან, როგორც მან თქვა, „ევროპის ქვეყნების საბოლოო განთავისუფლების" მიმართულებით. ცხადია, თუ რას ნიშნავს ევროპის ეს „განთავისუფლება". ეს ნიშნავს ცდას — დაამხონ აღმოსავლეთ ევროპაში არსებული მთავრობები, რომლებიც მართავენ ამ ქვეყნებს, რომლებიც არჩეული არიან თავიანთ ხალხთა მიერ და თავიანთ ხალხთა ნდობით.

კერსტენი ეხებოდა დეზერტირებისა და სამხედრო დამნაშავეების ჯგუფებს და ხოტბას ასხამდა მათ როგორც „თავისუფლების პოტენციალს". მან მაგალითისათვის მოიყვანა მოღალატე გენერალ ანდერსის არმია. მან ამ კომისიაში ილაპარაკა, რომ საუბარი ჰქონდა არმიის რომელიღაც მაღალი თანამდებობის ოფიცერთან, რომელმაც მას განუმარტა, თუ რა მნიშვნელობა ექნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო დამნაშავეთა და მოღალატეთა ბატალიონების გამოყენებას საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის შემთხვევაში.

აი რა თქვა მან. მომყავს ციტატა:

„ჩვენ არ უნდა ველოდოთ. უნდა დავიწყოთ ასეთი ორგანიზაციების ჩამოყალიბება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სათანადო უცხოელთა ლეგიონის შექმნა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს დასავლეთ ევროპის თავდაცვაში და უნგრეთის, რუმინეთისა და პოლონეთის განთავისუფლებაში". მან დაასახელა ეს სამი ქვეყანა.

ვიმეორებ, ჩვენ ვიცით — და თქვენ ყველამ იცით, თუ რას ნიშნავს ეს ეგრეთწოდებული „განთავისუფლება", რას ნიშნავს ეს სიტყვა „თავდაცვა". ჩვენ ვიცით, რა იმალება ამ ყალბი სიტყვებით. ეს ნიშნავს შეიარაღებული ინტერვენციისა და კანონიერ მთავრობათა დამხობის გეგმებს და ამ ქვეყნებში ხალხებისათვის საძულველი, მემამულეებისა და კაპიტალისტების უკვე დამხობილი ხელისუფლების აღდგენას.

კერსტენი 17 აგვისტოს უკვე პირდაპირ ლაპარაკობდა თავის შესწორებაზე. ეს იყო უკვე არა ზოგადი ლაპარაკი, არამედ იგი ლაპარაკობდა კონკრეტულად და პირდაპირ თავის შესწორებაზე. იგი ამბობდა:

„ჩემი შესწორება ითვალისწინებს რომ არალეგალური ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევის შესაძლებლობას, რომლებიც იქნებ არიან ამ ქვეყნებში ან შეიძლება მომავალში გაჩნდნენ".

„დახმარება" აქ მიკერებულია იმ დანაშაულებრივი გეგმების შენიღბვის იმავე მიზნით, რომლებითაც ნამდვილად ხელმძღვანელობენ ამ სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბების ორგანიზატორები.

მენსფილდი ამბობდა, რომ 1935 წელს, როცა მოსკოვში შეიკრიბა კომინტერნის კონგრესი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა საბჭოთა მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რადგან კონგრესმა მოწოდებით მიმართა სხვა ქვეყნების კომუნისტებს. მაგრამ კონგრესმა ხომ მაშინ მიმართა პარტიებს, რომლებიც ამ ქვეყნებში ლეგალურად არსებობდნენ. მან მიმართა ამა თუ იმ მთავრობათა მიერ ნებადართულ ლეგალურ პარტიებს. მაგრამ განა ვისმეს აკრძალული აქვს მიმართოს ლეგალურ პარტიას რომელიმე ქვეყანაში?

ასეთი აკრძალვა არ არსებობს. მაგრამ აკრძალულია მოწოდებით მიმართონ არალეგალურ პარტიებს, არალეგალურ ორგანიზაციებს, მით უმეტეს — მხარი დაუჭირონ არალეგალურ მოძრაობას. მენსფილდი ცდილობდა თავი აერიდებინა ამ საკითხისათვის, შეეცვალა იგი მეორე საკითხით. ეს მეორე საკითხია — 10 ოქტომბრის კანონისათვის კერსტენის შესწორების საკითხი, რომლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს იმ არალეგალური ორგანიზაციების დაფინანსებას, რომლებიც მტრულ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ეს შესწორება ასეთ არალეგალურ ორგანიზაციებს აძლევს „მიმართულებას, რათა ისინი უნაყოფო არ იყვნენ", იგი „თვითონ აღმოსავლეთ ევროპის მცხოვრებლებს აკისრებს აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლების მთელი საქმის დიდ ნაწილს", როგორც ამ შესწორების ავტორები ამბობდნენ.

ეს ძლიერ მოეწონა, უნდა შევნიშნოთ, ზოგიერთ კონგრესმენს, რომელთაგან ერთმა, ბ-ნმა არმსტრონგმა, ვერ მოითმინა, რომ შემდეგი არ ეთქვა: „დიახ, ეს შესწორება ამ ადამიანებს შთააგონებს ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ და ჩვენთან ერთად იბრძოლონ. მე მართლაც მწამს, რომ, თუ მათ საკმაოდ შთავაგონებთ, დავინახავთ, რომ ათასობით დეზერტირი წამოვა და შეუერთდება თავისუფლების ძალებს".

აი როგორ სულ უფრო მჟღავნდება 1951 წლის 10 ოქტომბრის ამ კანონის ნამდვილი მიზნები, ამოცანები, აზრი.

მეორე კონგრესმენმა, ბ-ნმა კულომ, მხარი დაუჭირა არმსტრონგს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, როგორც მან თქვა, რათა ეს ადამიანები აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ შეთქმულთა ბანაკში გადმოვიბიროთ. მაგრამ ნამდვილი მიზნები და ამოცანები 10 ოქტომბრის კანონისა, რომელიც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მთელი რიგი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სხვადასხვა პირთა და შეიარაღებული ჯგუფების დაფინანსებას დასახელებულ სახელმწიფოებში ძირგამომთხრელი, დივერსიული საქმიანობისათვის, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, ყველაზე სრულად გამოაშკარავა იმავე კერსტენმა კომისიის ამა წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე. ამ გამოსვლაში, რომელიც გამოქვეყნებულია „კონგრესის რეკორდში", დანართი ა/6950, კერსტენმა განაცხადა, რომ ურთიერთუშიშროების პაქტი, ე. ი. 10 ოქტომბრის კანონი, ითვალისწინებს მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ კომუნისტურ ქვეყნებში არალეგალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას. „ამ პირობას შეიცავს, — ამბობდა იგი, — შესწორება, რომელიც მე შევიტანე წარმომადგენელთა პალატაში და რომელიც შემდეგ მიღებულ იქნა".

მაგრამ ვინ არ იცის, რომ, აწყობდნენ რა ჯვაროსნულ ლაშქრობებს კომუნიზმის წინააღმდეგ, როგორც ამის განხორციელებას ცდილობდა უკანასკნელ წლებში ჰიტლერი, ხოლო ჰიტლერამდე — მაგალითად, 14 სახელმწიფო, რომლებზეც უკვე ვილაპარაკე, საბჭოთა ხალხის მტრები ახორციელებდნენ თავიანთ შეიარაღებულ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იმიზეზებენ რა თითქოს კომუნიზმის საფრთხეს, ეს ვაჟბატონები აწყობენ ლაშქრობებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყანაში, ამ ქვეყნების ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ისინი ეწევიან ბრძოლას დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მიდიან სოციალიზმის მშენებლობის გზით. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მოძრაობის წარმატებანი შიშსა და ძრწოლას გვრიან დემოკრატიისა და მშვიდობის მტრებს, რომლებიც რეაქციის მთელ ძალებს რაზმავენ თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს და მხოლოდ ეს არის 10 ოქტომბრის კანონის მთელი დანიშნულება — მოაწყონ და მხარი დაუჭირონ არალეგალურ მოძრაობას სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მოძრაობას, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ რომლის შექმნასაც ცდილობენ ბნელეთისმოციქულები და ომის გამჩაღებლები, რომლებსაც ამ ქვეყნებში შეჰყავთ თავიანთი ჯაშუშები, მზვერავები, დივერსანტები, ტერორისტები. ამას პირდაპირ ადასტურებენ კერსტენის და სხვ. განცხადებანი, რომლებიც ზემოთ მოვიყვანე ამერიკის კონგრესის ოფიციალური დოკუმენტებიდან. ამაზე პირდაპირ ლაპარაკობდა კერსტენი. ეს კანონი ითვალისწინებს სწორედ ასეთ მიზნებს და მხედველობაში აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა მიერ ტერორისტული საქმიანობის წახალისება სხვა სახელმწიფოებში. და ამაზე მე მსურს სპეციალურად ვილაპარაკო აქ იმიტომ, რომ ეს უშუალოდ ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობასაც.

როგორც ცნობილია, ბატონებო, გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის დღის წესრიგში იყო მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულობათა კოდექსის პროექტის საკითხი. კოდექსის ამ პროექტში არის მე-6 კარის მე-2 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ კანონგარეშე იქნება გამოცხადებული ის, რომ „რომელიმე სახელმწიფოს ხელისუფლებმა აწარმოონ ან წააქეზონ ტერორისტული საქმიანობა მეორე სახელმწიფოში ანდა რომელიმე სახელმწიფოს ხელისუფლებმა დაუშვან ორგანიზებული საქმიანობა, რომლის მიზანი იქნება ტერორისტული აქტების შესრულება სხვა სახელმწიფოში".

ბატონო დელეგატებო, დარწმუნებული არა ვარ, რომ თქვენ საკმაოდ კარგად გახსოვთ ეს, რამდენადაც ეს საკითხი განიხილა გენერალურმა კომიტეტმა და, მაშასადამე, პირველი კომიტეტის წევრებს შესაძლოა ეს არ სცოდნოდათ. მე ძალიან ვთხოვ კომიტეტის წევრებს გაეცნონ სათანადო დოკუმენტებს. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იმ დანაშაულობათა წინააღმდეგ კოდექსის შესახებ, რომლებიც მიმართულია მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ, იდგა ასამბლეის წინასწარ დღის წესრიგში, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს გადაედოთ იგი. და აი ახლა მჟღავნდება ამ საკითხის ისტორია.

როცა შეიტყო, რომ ამერიკის დელეგაცია მზად არის მხარი დაუჭიროს ამ პროექტს ახლანდელ ასამბლეაში, კერსტენმა განგაში ატეხა. კერსტენმა შიში გამოთქვა, რომ მე-6 კარის მე-2 მუხლის მიღებას, სადაც კანონგარეშედ გამოცხადებული ტერორისტული საქმიანობის ყოველგვარი წაქეზება, შეუძლია ხელი შეუშალოს ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 ოქტომბრის კანონისათვის მისი შესწორების მიღებას... ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ამერიკის დელეგაციას გადაესინჯა თავისი პოზიცია და მიელწია იმისათვის, რომ ეს საკითხი მოეხსნათ მე-6 სესიის დღის წესრიგიდან და შემდეგ სესიამდე მაინც გადაედოთ. ამრიგად, კერსტენი ცდილობდა მოესპო ის, რასაც იგი თვლიდა დაბრკოლებად იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც შემდეგში გამოიხატა ეგრეთწოდებული 10 ოქტომბრის კანონით და კერსტენის შესწორებით.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში კერსტენის განცხადებიდან ჩანს, მისი შეშფოთება ამ საკითხის გამო ისე დიდი იყო, რომ საჭიროდ მიიჩნია ამ საკითხზე მოთათბირებოდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, კერძოდ ოსტინს, რომელიც კერსტენისადმი თავის საპასუხო წერილში (წერილი არის, იგი შეიძლება გამოქვეყნდეს, თუ საჭირო იქნება) კერსტენს არწმუნებდა ამ მხრივ და ამტკიცებდა, რომ 10 ოქტომბრის კანონი საეჭვოა შეეფარდოს კოდექსის კარის—„მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულობათა" კარის მეორე მუხლს და განმარტებულ იქნას, როგორც ძირგამომთხრელი და ტერორისტული საქმიანობის წაქეზება. ამის გამო თავის წერილში კერსტენისადმი ბ-ნი ოსტინი პირდაპირ შემდეგს წერდა:

„როგორც თქვენ იცით ჩვენი გამოცდილებიდან, რაც თვითონ კანონმდებელი ხართ, ბევრი რამ დამოკიდებულია ძირითადი სიტყვების განმარტებაზე. მე მგონია, რომ ძირითადი სიტყვებია შემდეგი: „ტერორისტული საქმიანობა", „ტერორისტული აქტები". და ოსტინი დასძენდა: „უნდა აღიარებულ იქნას, რომ მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს საერთაშორისო სამართლის ძველი კანონებისაგან რაღაც განსხვავებულს". ამასთან ბ-ნი ოსტინი ამტკიცებდა, რომ ყოველ კოდექსს, რომელიც ღირსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელისა, არ შეუძლია არ აღიაროს ახლანდელი დროის ასეთი სასიცოცხლო ფაქტი.

გამოდის, რომ ხელი უნდა აეღოთ საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებზე, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ ამერიკის მთავრობამ განახორციელოს დივერსიული და ტერორისტული საქმიანობის ღონისძიებანი ეგრეთწოდებული „თავისუფლების" დასაცავად, ნამდვილად კი აგრესიული ატლანტიკის ბლოკის ომის გეგმების განსახორციელებლად.

ამრიგად, ოსტინი უკვე მაშინ ამზადებდა, ასე ვთქვათ, ალიბის, აგროვებდა მოტივებს, რომლებიც გამოდგებოდა იმისათვის, რომ 10 ოქტომბრის კანონს ბრალად არ დაედოს, რომ ეს კანონი წარმოადგენს დანაშაულებრივ აქტს მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ. მაგრამ ოსტინის საბუთებმა ვერ დაამშვიდა ბ-ნი კერსტენი, და კერსტენი კვლავ თავისას იმეორებდა და ამტკიცებდა, უტეროროდ—ეს მისი საკუთარი სიტყვებია—ეს საქმე არ გაკეთდებაო. აი რა თქვა მან წარმომადგენელთა პალატის 20 ოქტომბრის სხდომაზე, როგორც გამოქვეყნებულია „კონგრესის რეკორდის" იმავე ნომერში ა) 6950:

„იმის თქმა, რომ ტერორი არავითარ როლს არ შეასრულებს აღმოსავლეთ ევროპის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ნიშნავს სრულიად უმეცარი იყო იმ საქმეში, რასაც განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენს".

პრაქტიკული პოლიტიკოსი კერსტენი, ამ საქმეთა გამოცდილი ოსტატი, პოლიტიკას ასწავლის ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ-ნ ოსტინს. კერსტენი ამბობს—ვიმოწმებ იმავე ოქმს:

„რეალური განმათავისუფლებელი მოძრაობის,—მას მხედველობაში ჰქონდა არალეგალური მოძრაობა, რომელზეც აქ მუდამ ლაპარაკია,—ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსახლეობაში შიშის დანერგვა.

განთავისუფლება არ შეიძლება მიღწეულ იქნას მარტო პროპაგანდით და პარლამენტური მანევრებით, იგი სათანადო დროს ძლიერ მოქმედებას მოითხოვს".

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას ნიშნავს კერსტენის აი ეს სიტყვები წერილში, ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც ჩაწერილია წარმომადგენელთა პალატის ოქმში, თუ არა კერსტენის საყვედური თავისი კოლეგებისადმი, რომ ისინი სხვადასხვა არ ეგებიან იმ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც მათ ყველას აინტერესებს. კერსტენი ამ სიტყვებით ლაპარაკობს:

„ბატონო პარლამენტარებო, თქვენ ლაყბობთ რაღაც პარლამენტურ მანევრებზე, საჭირო კი არის ტერორის ამოქმედება. ტერორს შეუძლია ის გააკეთოს, რასაც თქვენ ესწრაფვით. საჭიროა ამოქმედებულ იქნას ძლიერად მოქმედი საშუალებანი".

და აი ჩნდება შესწორება 10 ოქტომბრის კანონისათვის — ძირგამომთხრელი საქმიანობის ფართოდ განხორციელებისათვის მზადების საფუძველი, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უმაგალითო ჩარევის ფართო და ცინიკური გეგმის საფუძველი. კერსტენი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა, რომ მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულობათა კოდექსის პროექტი, რომელიც გმობს რომელიმე სახელმწიფოს დივერსიულ, ტერორისტულ საქმიანობას სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, მოეხსნათ გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის დღის წესრიგიდან. და ჩვენ ვიცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ღონისძიებებით, ატლანტიკის ბლოკში შემავალი ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციების მხარდაჭერით ამ კოდექსის პროექტი მართლაც მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც არ იცოდნენ ამ საკითხის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 301, 302.

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

მთელი ეს ბინძური სარჩული, გულკეთილობით დათანხმდნენ, პრაქტიკული მოსაზრებებით, იმას, რომ მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულის ამ კოდექსის პროექტი გადაედოთ შემდეგ სესიამდე. აი როგორია ამ სამარცხვინო საქმის სარჩული!

მაგრამ ჩვენ ახლა ეს როდი გვაინტერესებს. ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს, ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ სწორედ აქ მჟღავნდება ამ კანონის ნამდვილი აზრი, მე ვიტყოდი, მისი აუთენტურობა, როგორც იურისტები ამბობენ.

რა შეუძლიათ ამის წინააღმდეგ გვითხრან, თუ არ შეიძლება წაშლილ იქნას ეს ოქმები, თუ არ შეიძლება ჩვენი მეგნებიდან, ჩვენი ხსოვნიდან ამოგლეჯილ იქნას მთელი ეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის წაყენებული პრეტენზიების სრულ საფუძვლიანობას. ჩვენ არა ვართ იმით დაინტერესებულნი, რომ დავიწყოთ რაიმე დავა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, და ჩვენი მიმართვა გენერალური ასამბლეისადმი უბრალო და ელემენტარულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედება და წინადადება მისცეს, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გააუქმოს ეს თავისი კანონი.

ჩვენ გვეუბნებიან, სწორად არ გესმით ეს კანონიო. მაგრამ არ შეიძლება სხვანაირად მისი გაგება, თუ არა ისე, როგორც ჩვენ, და არა მარტო ჩვენ გვესმის.

თუ მართლაც აქ ეს კანონი სწორად არ ესმით, მაშინ ყველაზე უკეთესი, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეუძლია გააკეთოს, ის არის, რომ გააუქმოს ეს კანონი, როგორც არასწორი, როგორც ისეთი, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლისა და კეთილი მეზობლობის ელემენტარულ პრინციპებს, ისეთ სახელმწიფოთა ელემენტარულ ურთიერთობას, რომლებიც პატივს სცემენ თავიანთ თავს.

მე ჯერ კიდევ სრულიადაც არ მითქვამს ყოველივე ის, რის თქმაც ამის გამო შემიძლია, და, თუ საჭირო იქნა, ძე ვთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს კიდევ მომცეს სიტყვა. მაგრამ ის, რაც ახლა მე ვთქვი, არის შედეგი ჩემი მისწრაფებისა—სრული სიცხადე შევიტანო ამ საკითხში და დაგანახვოთ, რომ საქმე ეხება სერიოზულ საკითხს, იმის ალმოფხვრას, რაც მართლა ხელს უშლის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნორმალურ ურთიერთობას, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ამერიკის კონგრესის მოქმედება მოწმობს ესოდენ მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი, რასაც საბჭოთა მთავრობა გვერდს ვერ აუვლის ისე, რომ პროტესტი არ განაცხადოს, არ მოითხოვოს ასეთი მოქმედების დაგმობა და არ მიმართოს შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცე მოთხოვნით — გააუქმოს ეს უსამართლო, მავნე და საშიში—უწინარეს ყოვლისა, თვით შეერთებული შტატებისათვის საშიში—კანონი.

* * *

ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დამთავრების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე შეეცადა გავლენა მოეხდინა დელეგატებზე და მოუწოდა მათ თავიანთი გამოსვლები შეეზღუდათ მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი საკითხის ფარგლებით. ამასთან თავმჯდომარე აშკარად აპირებდა სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლა დაესახა განსახილველი საკითხიდან გადახვევად.

თავმჯდომარის გამოსვლის პასუხად ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა:

„მე მხოლოდ მოკლედ ვიტყვი, რომ, თუმცა დიდ პატივს ვცემ სხდომას წარმოების წესების ყოველგვარ განმარტებას ბ-ნ თავმჯდომარის მიერ, რომელიც თავის უდავო უფლებებს ახორციელებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყოველივე, რაც მან თქვა, სრულიად არ შეეხება, ყოველ შემთხვევაში, იმას, რაც მე აქამდე ვთქვი. და მე ვაცხადებ, რომ ყველაფრის მიუხედავად ვილაპარაკებ ამავე აზრითა და მიმართულებით, თუ ამას მოითხოვს საჭიროება და ამ საქმის გამორკვევის ინტერესები".

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოს

მოსკოვი

გუშინ გენუას ჩამოვიდა გემი „ტიმირიაზევი", რომელმაც ჩამოიტანა საბჭოთა მშრომელების მიერ გამოგზავნილი დიდი ტვირთი წყალდიდობით დაზარალებული იტალიელი მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

გენუის მოსახლეობა და იტალიის ყველა პროვინციიდან ჩამოსული მშრომელთა დელეგაციები ენთუზიაზმით შეხვდნენ გემს და ძმურად მიესალმნენ თქვენს დელეგატებს, გემის კაპიტანსა და ეკიპაჟს.

საღამოს დუკალეს სასახლის მახლობელ მოედანზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ხალხი ოვაციებით მიესალმებოდა თქვენი დელეგატების გამოსვლას, გამოთქვამდა იტალიელი ხალხის დიდ მადლობას საბჭოთა ხალხის მხრივ სულგრძელი დახმარებისათვის და ამ დახმარებას აფასებდა, როგორც მეგობრობისა და მშვიდობის ძლევნს.

გამოხატავს რა იტალიელ მშრომელთა გრძნობებს, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სამდივნო გთხოვთ ჩვენი დიდი მადლობა გადასცეთ დიდ საბჭოთა ხალხს და მის ბელადს საყვარელ სტალინს, რომელსაც მხურვალედ მივესალმებით მისი დაბადების სამოცდამეთორმეტე წლისთავის გამო და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ახალ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, მშვიდობის დაცვის საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა და იტალიელი ხალხების სამარადისო მეგობრობას!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

ჯუზეპე დი ვიტორიო,
იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი
რომი, 1951 წლის 24 დეკემბერი.

„საბჭოთა კავშირის დახმარება განამტკიცებს მეგობრობას ორ ხალხს შორის"

იტალიის დემოკრატიული პრესა საბჭოთა გემის „ტიმირიაზევის" გენუაში ჩასვლის შესახებ

რომი, 25 დეკემბერი. (საკდესი). დემოკრატიულმა გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს გენუიდან მიღებული ცნობები და კორესპონდენციები საბჭოთა გემის „ტიმირიაზევის" იქ ჩასვლის შესახებ. ამ გემმა იქ ჩაიტანა საბჭოთა ხალხის ძღვენი წყალდიდობით დაზარალებულ იტალიის მოსახლეობისათვის. სათაურებით „რუსი ხალხის დახმარება", „ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა", „საბჭოთა დახმარება განამტკიცებს მეგობრობას ორ ხალხს შორის", „ტიმირიაზევის" დაუვიწყარი შეხვედრა გენუაში", „მშვიდობის ძღვენი ყველა იტალიელს" დემოკრატიულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს დაწვრილებითი ანგარიშები საბჭოთა დელეგატებთან იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მშრომელთა და ხელმძღვანელთა შეხვედრის შესახებ.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს მრავალი ფოტოსურათი გენუის ნავსადგურში საბჭოთა დელეგატების შეხვედრისა და გემ „ტიმირიაზევის" გადმოტვირთვის შესახებ. „პაეზე" ფურცლებზე ამ გაზეთის დირექტორი დეპუტატი ტომაზო სმიტი წერს: „საბჭოთა კავშირის დახმარება საბჭოთა ხალხის დიდი თანაგრძნობისა და ძმური მეგობრობის დამადასტურებელი საბუთია".

უცხოეთის იმპერიალისტურ დაზვერვათა ჯაშუშების ჯგუფის პროცესი ბულგარეთში

სოფია, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს სოფიის საოლქო სასამართლოში დაიწყო ჯაშუშთა და დივერსანტთა ჯგუფის — თურქეთის, ამერიკისა და ინგლისის დაზვერვათა აგენტების პროცესი. მთავარ ბრალდებულთა შორის არიან ივანე ივანოვი, იანკო ივანოვი, ტოდორ გეორგიევი, სტეფანე კოლოფეროვი და გიორგი პეშევი.

ჯაშუშებისა და დივერსანტების საქმეზე საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის რეაქციულმა მმართველებმა თავისი ქვეყანა სავსებით დაუქვემდებარეს ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა კონტროლს, რომლებიც თურქეთს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის პლაცდარმად ხდიან. ამ უკანასკნელ დროს თურქეთი ჩარიცხეს აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში, რომლის გეგმებიც ითვალისწინებენ აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ლიკვიდაციას. თურქეთის რეაქციული წრეები, არიან რა საერთაშორისო რეაქციის მორჩილი იარაღი, აქტიურად თანამშრომლობენ ამერიკისა და ინგლისის დაზვერვებთან, რომლებიც რაზმავენ და წვრთნიან ბულგარეთიდან თურქეთს გაქცეულ სამშობლოს მოღალატეებს, აიარაღებენ მათ და გზავნიან ბულგარეთში სადაზვერვო და სადივერსიო ამოცანების შესასრულებლად. შემთხვევითი როდია, რომ 1951 წლის ოქტომბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს უშიშროების ეგრეთწოდებული ურთიერთუზრუნველყოფის კანონი, რომლითაც ასიგნებულია სპეციალური სახსრები 100 მილიონი დოლარის რაოდენობით ჯაშუშებისა და პროვოკატორების დასაფინანსებლად. საბრალდებო დასკვნაში სავსებით დამტკიცებულია ბრალდებულთა დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლებიც შევიდნენ თურქეთს გაქცეულ მოღალატეთა შეიარაღებული შეთქმულების ორგანიზაციაში, რომელიც ამერიკა-ინგლისის სადაზვერვო ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობითა და მიზნად ისახავს დაამხოს სახალხო ხელისუფლება ბულგარეთში კონტრრევოლუციური გადატრიალებითა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დახმარებით.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

პოლიციის თარეში ერაყში

ბეირუთი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ას-სარხა" იუწყება, რომ ამ დღეებში ბაღდადის საპყრობილეში წამებისა და შიმშილის გამო გარდაიცვალა პოლიტიკური პატიმარი მუჰამედ სალეხი. სალეხის დაკრძალვა გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასობით მუშამ, სტუდენტმა და ქალმა. პოლიცია თავს დაესხა სამგლოვიარო პროცესიას და 400 კაცი დააპატიმრა. ნური საიდ-ფაშის მთავრობამ ბრძანება გასცა დახურულ იქნას დემოკრატიული გაზეთი „ალ-იახა".

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 25 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის თავდაცვით ბრძოლებს ეწევიან, ამასთან კვლავ ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის არტილერიის ცეცხლით მოსპობილ იქნა ხუთი ქვემეხი მოწინააღმდეგისა, რომლის არტილერია გააფთრებით უშენდა სახალხო არმიის თავდაცვითს ზღუდეებს.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

ჩვენმა მხარემ, რათა აღმოეფხვრა მეორე მხარის ყოველი ეჭვი და საბაბი ზურგში ინსპექციის მოწყობის შესახებ, 24 დეკემბერს იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, მიიღო რა მხედველობაში მეორე მხარის 23 დეკემბრის წინადადება, ერთხელ კიდევ წარადგინა ახალი რედაქციით 6 პუნქტისაგან შემდგარი ჩვენი 14 დეკემბრის წინადადების ჯერ კიდევ შეუთანხმებელი მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები.

ჩვენმა დელეგატმა დაადასტურა ჩვენი მხარის პოზიცია, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას ჩარევა საშინაო საქმეებში და მეორე მხარეს წინადადება მისცა სერიოზულად განიხილოს და მიიღოს ჩვენი წინადადების ეს შეცვლილი პუნქტები.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, ჩვენმა დელეგატმა კვლავ მოითხოვა განმარტება ჩვენი მხარის იმ 44.259 სამხედრო ტყვის ადგილსამყოფელის შესახებ, რომლებიც აღნიშნული არიან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით მიღებულ სიებში. მან აგრეთვე მთლიანად უარყო მეორე მხარის მტკიცება, დამყარებული სამხედრო ტყვეთა შესახებ ჩვენი მხარის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებზე, რომ ჩვენ სამხედრო ტყვეების მეტი რაოდენობა უნდა გვყავდეს.

როგორც ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენმა მხარემ ბრძოლების მსვლელობაში გაათავისუფლა ბევრი სამხედრო ტყვე სამხედრო ტყვეებისადმი შეღავათიანი მოპყრობის თანმიმდევრული პოლიტიკის საფუძველზე და იმჟამად ემზადება ერთბაშად გაათავისუფლოს ყველა სამხედრო ტყვე, რომლებიც ჯერ კიდევ ჰყავს ჩვენს მხარეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენმა მხარემ ოფიციალურად აცნობა, რომ მეორე მხარემ ტყვედ წაიყვანა სულ 176.733 ჩვენი სამხედრო მოსამსახურე, მეორე მხარემ არათუ სიებიდან ამორიცხა 44.259 ჩვენი მხარის სამხედრო ტყვე, არამედ აშკარადაც განაცხადა, რომ აპირებს დაიტოვოს კიდევ 16.243 სამხედრო ტყვე. რაკი სამხედრო ტყვეების დაკავებას ცდილობს, მეორე მხარეს არ შეუძლია პასუხისმგებლობა არ იკისროს საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ჩვენი პოლიტიკა კი სამხედრო ტყვეების მიმართ სავსებით შეესაბამება ჰუმანურობის პრინციპებს. 24 დეკემბერს იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, ჩვენმა დელეგატმა მეორე მხარეს გადასცა წერილი, რომელიც ჩვენთან სამხედრო ტყვედ მყოფმა ამერიკის 24-ე დივიზიის მეთაურმა გენერალმა დინმა თავის ოჯახს მისწერა. ჩვენმა დელეგატმა განაცხადა, რომ ჩვენი მხარე მომავალშიც მიიღებს და გადასცემს სამხედრო ტყვეთა წერილებს თავიანთი ოჯახებისადმი, და წინადადება შეიტანა, რომ მეორე მხარემაც მისცეს ასეთივე შესაძლებლობა ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეებს.

ქვემოთ მოყვანილია ჩვენი მხარის წინადადების გადასინჯული პუნქტების ტექსტი:

4. სამხედრო დაზავების სიმტკიცის უზრუნველყოფის მიზნით, რათა ორივე მხარეს გაუადვილდეს უფრო მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა, ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს კორეაში არ შეიყვანოს არავითარი სამხედრო პერსონალი, არ შეიტანოს სამხედრო თვითმფრინავები, ჯავშნიანი მანქანები, ტანკები, იარაღი და საომარი მასალა მას შემდეგ, რაც ხელმოწერილ იქნება შეთანხმება დაზავების შესახებ და იგი ძალაში შევა. სამხედრო პერსონალის ყოველი მორიგეობა ურთიერთშეთანხმებული მასშტაბით უნდა მოხსენდეს სამხედრო დაზავების კომისიას, რათა ნეიტრალური ქვეყნების მეთვალყურე ორგანომ შეძლოს ადგილზე მეთვალყურეობის განხორციელების ამოცანის შესრულება; და მორიგეობა უნდა წარმოებდეს ზურგში გადმოტვირთვის ურთიერთშეთანხმებულ პუნქტებში.

5. ორივე მხარემ უნდა დანიშნოს თანაბარი რაოდენობის წევრები სამხედრო დაზავების კომისიის შესაქმნელად, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა დაზავების შესახებ შეთანხმების განხორციელებისადმი მეთვალყურეობისა და დაზავების შესახებ შეთანხმების ყოველგვარი დარღვევის მოლაპარაკების გზით მოწესრიგებისათვის. მეთვალყურეობისა და ინსპექციის ფუნქციები, როგორც განპირობებულია დაზავების შესახებ შეთანხმებაში, უნდა განხორციელდეს ქვემომოყვანილი ორი დებულების შესაბამისად:

ა) თვით დემილიტარიზებულ ზონაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამხედრო დაზავების კომისიას, რომელიც იმოქმედებს უშუალოდ მის მიერ გაგზავნილი ერთობლივი ჯგუფების მეშვეობით;

ბ) დემილიტარიზებული ზონის გარეთ ზურგში გადმოტვირთვის ურთიერთშეთანხმებულ პუნქტებში და იმ ადგილებში, სადაც მოხდება დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევა, რწმუნებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარ მეთვალყურე ორგანოს. უშუალო ინსპექცია უნდა განახორციელოს ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარმა მეთვალყურე ორგანომ ყოველთვის, როცა სამხედრო დაზავების კომისიის ორივე თუ ერთ-ერთი მხარე მიმართავს მას თხოვნით გამოიკვლიოს დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევა.

6. ორივე მხარე შეთანხმდება მიმართოს ნეიტრალურ ქვეყნებს, რომლებიც კორეის ომში არ მონაწილეობენ, თხოვნით—მათი თანხმობით გამოგზავნონ თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები მეთვალყურე ორგანოს შესაქმნელად. სამხედრო დაზავების კომისიის მიერ უფლებამოსილ ამ მეთვალყურე ორგანოს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მეთვალყურეობისა და ინსპექციის ფუნქციების განხორციელებისათვის, როგორც განპირობებულია მეოთხე პუნქტში და მე-5 პუნქტის „ბ" გრაფაში; ყოველთვის, როცა სამხედრო დაზავების კომისიის ორივე ან ერთ-ერთი მხარე სთხოვს მოახდინოს ასეთი გამოკვლევა, ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარმა მეთვალყურე ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნოს საინსპექციო ჯგუფები ურთიერთშეთანხმებულ პუნქტებში, ან იმ ადგილებში, რომლებიც დემილიტარიზებული ზონის გარეთ მდებარეობენ, სადაც მოხდება დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევა, და უნდა შეასრულოს მეთვალყურეობისა და ინსპექციის ფუნქციები, როგორც განპირობებულია დაზავების შესახებ შეთანხმებაში, და ასეთი მეთვალყურეობისა და ინსპექციის შედეგები მოახსენოს სამხედრო დაზავების კომისიას. ორივე მხარემ ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარ ამ საინსპექციო ჯგუფებს უნდა მისცეს ყოველივე, რაც საჭიროა ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად კომუნიკაციების მთავარ ხაზებზე, რომელთა შესახებაც ორივე მხარეს შორის მიღწეულ იქნება შეთანხმება.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

28 დეკემბერს

6.25 — ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები. 8.20 — რუსული ხალხური სიმღერები. 10.30 — რ. გვეტაძის მოთხრობა — „სოფკა-სუ". 11.30 — მუზატოვის „თურქმენული სუიტა". 17.15—კამერული მუსიკის კონცერტი. 17.40 — მოთხრობები დაკარგული დროის შესახებ. 18.15 —რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მოცარტი და სალიერი". 19.15—სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე. ეპიტაშვილის კონცერტი. 20.45 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 21.00 — კონსულტაცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად: „სამყაროს მატერიალურობა და მისი განვითარების კანონზომიერებანი". 21.50 — ქართული ხალხური სიმღერები რადიოკომიტეტის ანსამბლის შესრულებით. 22.30—ა. პუშკინის ლექსები. 22.50 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 00.05 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — წითელი ყაყაჩო (მე-8 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — თბილისელი ქალიშვილი; **მარჯანიშვილის სახელობის** — მისი ვარსკვლავი; **გრიბოედოვის სახელობის** —ქვა-მბრძანებელი (44-ე, 45-ე აბ.); **სომხური დრამის**—ქორ-ოღლი; **მუსიკალური კომედიის**— ერთხელ გაზაფხულზე (1 აბ.); **ხანკულტურის**— კარგი ამბავი; **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „კომკავშირელი", „ახანი", 26 კომისრის სახელობის —მისამართი უცნობია; **„ამირანი", „თბილისი"** —მახიობი ქალი; **„სპარტაკი"** — სკანდალი კლოშმერლში; **„კოლმეურნე"**—სიმღერა სიყვარულზე; **„დიდუბე"** — შუქი კორიდში; **„კოლხიდა"**—ვეფხი აბარი.

საზოგადოებრივ ადგილებში საახალწლო ნაძვისხის მოწყობის დროს ხანძრის საწინააღმდეგო უშიშროების წესების შესახებ

1. ნაძვისხის მოწყობა საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წარმომადგენლის მიერ წინასწარ დაუთვალიერებლად და მისი გახსნა წერილობითი ნებართვის მიუღებლად აკრძალულია (ქალაქ თბილისში ნებართვას გასცემენ რაიონული სახანძრო ინსპექციები).

2. ნაძვისხე არ უნდა დაიდგას გასასვლელებში და გამოსასვლელების ახლოს.

3. ნაძვისხის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ტოტები არ ეხებოდეს სათავსის ჭერს და კედლებს, დაცილებული იყოს მათ სულ მცირე ერთი მეტრით.

4. სკოლებსა და საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში, სადაც ელექტროგანათება არ არის, ნაძვისხე შეიძლება მოწყობილ იქნას მხოლოდ დღისით, ნაძვისხის სანთლებით განათება კატეგორიულად აკრძალულია.

შენიშვნა: თუ ბინებში ნაძვისხის განათება ხდება სანთლებით, აუცილებელია სანთლების მჭიდროდ ჩამაგრება ნაძვისხის შანდლებში, სანთლები კი დაცილებულ უნდა იქნას ტოტებსა და დაკიდებულ სამკაულებს.

5. ნაძვისხე ღარბაზის შუა ადგილას უნდა დაიდგას მყარ ჯვარისებურ სადგარზე, სველ მიწიან ან სილიან კასრში ან ყუთში.

6. ნაძვისხის გაფორმებისას როგორც საზოგადოებრივ ადგილებში, ისე ბინებში აკრძალულია:

ა) ცელულოიდის და სხვა ადვილადაალებადი სათამაშოებისა და მოკაზმულობის ჩამოკიდება;

ბ) სადგარსა და ტოტებზე ცეცხლგამძლე ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის დაფენა და ასეთივე ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის ნაკეთობათა დაკიდება;

გ) ნაძვისხეზე ბერთოლეს მარილის დაყრა.

7. ნაძვისხე შემოფარგლული უნდა იყოს ზედა ტოტებიდან 0,5 მეტრით დაცილებული გამძლე მოაჯირით.

8. ილუმინაცია მტკიცედ, საიმედოდ და ყველა ელექტროტექნიკური ნორმისა და წესის დაცვით უნდა იყოს მოწყობილი.

9. ილუმინაცია, როგორც წესი, მოწყობილი უნდა იყოს ძაბვის დამწევი ტრანსფორმატორის საშუალებით 12-ვოლტიანი ძალოვნების ნათურებით.

10. ნაძვისხის განათების მოწყობილობაში სულ მცირე საეჭვო მდგომარეობის შემჩნევისას (სადენების ზომაზე მეტად გახურება, ნათურების ციმციმი, ნაპერწკლიანობა და სხვ.) ილუმინაცია უნდა გამოირთოს და იგი შეიძლება ჩართულ იქნას უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ.

11. ნაძვისხეზე სინათლის ანთების წინ შემოწმებულ უნდა იქნას: განათების წესივრობა, ხანძრის ქრობის საშუალებების არსებობა (ცეცხლსაქრობები, წყალი ვედროში და სხვა ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ნაძვისხეზე დამსწრეთა უშიშროებას).

12. ნაძვისხის მოქმედების დროს ყველა გამოსასვლელი ღია უნდა იყოს და მათთან მორიგეებად უნდა იდგნენ მოზრდილები.

13. ის ოთახი, სადაც ტელეფონი დგას, ღია უნდა იყოს, იქვე აპარატთან გაკრული უნდა იყოს უახლოესი სახანძრო რაზმის ტელეფონის ნომერი.

14. ნაძვისხის მოწყობის დროს აკრძალულია:

ა) სხვადასხვა სახის ფეიერვერკის გაჩაღება, ბენგალის ცეცხლის, მაგნიუმისა და ტკაცუნების ხმარება.

ბ) ნორმაზე მეტი რაოდენობით ბავშვების დაშვება (10 კვ. მეტრზე დასაშვებია 15-16).

გ) მთლიანად სინათლის ჩაქრობა იქ, სადაც ნაძვისხეა მოწყობილი;

დ) ასანთის ანთება და თამბაქოს მოწევა.

აკრძალულია ნაძვისხესთან იმ ბავშვებისა და მოზრდილების დაშვება, რომლებსაც ბამბის, ქაღალდის, მარლის და სხვა ადვილად აალებადი ქსოვილის სამკაულები აქვთ, აგრეთვე ნაძვისხის გარშემო ანთებული სანთლებით თამაშის მოწყობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის სამმართველო

საზამთრო არდადეგების დღეებში

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საზამთრო არდადეგების დღეებში მოეწყობა დიდი ნაძვის ხე, რომელიც მომსახურებას გაუწევს 3.000-ზე მეტ ბავშვს.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი კაბინეტი მოაწყობს მოსწავლეთა ჯგუფურ ექსკურსიებს სტალინური მარშრუტით. სასახლის სხვა კაბინეტები კი მოაწყობენ ექსკურსიებს ქალაქგარეთ—გორში, რუსთავში, სამგორში, მცხეთასა და საგურამოში.

ავიამოდელიზმის კაბინეტში 5 იანვარს მოეწყობა სათოხო მოდელების რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პიონერთა სახლების ავიამოდელიზმის სექციებისა და ბავშვთა ტექნიკური სადგურების წარმომადგენლები.

სასახლის გონიერული გართობის კაბინეტში უმცროსი ასაკის ბავშვთათვის მოეწყობა ზღაპრების თხრობის რამდენიმე დილა. წაკითხული იქნება მიხალკოვის „ძია მიხო" (გადმოქართულებული ირ. აბაშიძის მიერ), ბ. პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა", ზღაპარი „ძუნწი კატა" და სხვა.

არდადეგების პერიოდში განხორციელებულ იქნება მრავალი სხვა ღონისძიებაც—მოეწყობა ფიზკულტურული შეჯიბრებები, შეხვედრები და ა. შ.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების პერიოდში მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ნორჩ მაყურებლებს უჩვენებს ორ ახალ დადგმას: ვ. დარასელის პიესას „კიკვიძეს" და ბ. მოლიარევსკის „ირმის წყაროს".

განახლებული დადგმებიდან თეატრი ნორჩ მაყურებლებს უჩვენებს გ. ნახუცრიშვილის პიესას „სიჭაბუკე ბელადისა", ა. ოსტროვსკის „უეცარ სიმდიდრეს" და აკ. წერეთლის „ბაშიაჩუკს".

სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება აწყობს სამეცნიერო სესიას, რომელზეც წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

27 დეკემბერს დილის 11 საათზე: აჭარა-იმერეთის ქედის წაშყვანი ფლორისტული ელემენტების გავრცელების ძირითადი კანონზომიერებანი (მომხსენებელი პროფესორი დ. სოსნოვსკი), წინაკავკასიისა და აღმოსავლეთ კავკასიონის ტყის მცენარეულობის ვერტიკალური ზონალობის თავისებურებანი (მომხსენებელი პროფესორი ვ. გულისაშვილი), საქართველოს ველური ფლორის ზოგიერთი დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების კულტურაში დანერგვის ცდა (მომხსენებელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. დუმბაძე).

28 დეკემბერს დილის 11 საათზე: საქართველოს ბუნებრივი საკვებ-სავარგულების პასპორტიზაციის წინასწარი შედეგები მესაქონლეობის ძირითადი რაიონებისათვის (მომხსენებელი ა. ყავრიშვილი), საქართველოს ზამთრისა და საგაზაფხულო საძოვრების მცენარეულობის ძირითადი ტიპის საწარმოო დახასიათება (მომხსენებელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ნახუცრიშვილი), საქართველოს ხეობის სუბალპური მცენარეულობის მელიორაციული მნიშვნელობა (მომხსენებელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ლოლუხანოვი).

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობამ გამოუშვა შემდეგი ახალი წიგნები:

გ. თვალაძე — ადამიანის ანატომია. ნაწ. II, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. ტირაჟი 2.000, გვ. 582, ფასი 14 მან.

ავტორთა ჯგუფი — კერძო ქირურგია. სახელმძღვანელო ორ ტომად სტუდენტთა და ექიმთათვის პროფესორების ქ. ერისთავის და ქ. ვეფხვაძის რედაქციით. ტ. II. ტირაჟი 3.000, გვ. 442, ფასი 16 მან.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. ა. ხ. ბიდზიშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მეცხოველეობის დარგში, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო;

ამხ. ა. რ. თოფურია — საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან, სხვა სამუშაოზე მის გადაყვანასთან დაკავშირებით;

ამხ. ვ. გ. გურაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან კადრების დარგში, სხვა სამუშაოზე მის გადაყვანასთან დაკავშირებით;

ამხ. ი. ი. ლეკიშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალთა სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო;

ამხ. ვ. ა. ყურაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან, სხვა სამუშაოზე მის გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. მ. ი. იოსელიანი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან კადრების დარგში და

ამხ. ვ. ვ. ფარქოსაძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

მენდელეევის საზოგადოებაში

29 დეკემბერს საღამოს 8 საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება, მიძღვნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებისადმი.

დღის წესრიგი: ჩვენი ამოცანები საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობასთან დაკავშირებით (მომხსენებელი პროფესორი ვ. კაკაბაძე), დასავლეთ საქართველოს პზრობებში კარბონატული წყლებით ჩაის პლანტაციების მორწყვის საკითხისათვის (მომხსენებელი პროფესორი ა. სარიშვილი), დ. ი. მენდელეევი სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის შესახებ (მომხსენებელი დოცენტი ი. ნაკაიძე).

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ „ზ ა რ ი ა ვ ო ს ტ ო კ ა შ ი"

პირველი გვერდი — მოწინავე — სახალხო მოსამართლეები — ხალხის რჩეულნი.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობა:

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი ქართულ ენაზე.

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საერთო სათაურით „როგორ ამთავრებთ თქვენ 1951 წელს?" წერილები: თბილისი—ვოროშილოვგრადი. ვ. ბაქრაძე, ნ. ჟუკოვი—თვითეული მუშა ჩქაროსნული მუშაობის ოსტატი უნდა იყოს. ალ. ჩუტკიხის გამოსვლა საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმზე.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მეორე გვერდი — ბათუმის ისტორიული ადგილები — ბარცხანა გუშინ და დღეს.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე. ხერიოზული ნაკლოვანებანი 1952 წლისათვის მზადების საქმეში. ზ. მერკვილაძე—სიტყვა და საქმე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—ვ. ტატიშვილი— წიგნი საქართველოს სახალხო პოეტის შესახებ: პ. მჭედლიშვილი — დიდი წვლილი ლიტერატურაში ბუნებისმეტყველების ისტორიის შესახებ.

მესამე გვერდი — ჩვენ გვატყობინებენ. მკითხველთა წერილები.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1951 წლის 19 დეკემბერს (დასასრული).

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

შვილები სიკო, თამარ, ქენია, მარიამ, რძალი ლეილა ქარუმიძეები იუწყებიან, რომ 29-XII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ანეტა კორინთელი-ქარუმიძის** პანაშვიდი.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშაკთა კოლექტივი იუწყება **მიხეილ ნიკოს-ძე კვარაცხელიას** გარდაცვალებას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **სერგო ივანეს-ძე ბრეგვაძის** გარდაცვალებას.

დები ნუცია ჩიკვაიძე, ნინო გეგელია, ქრისტინე კანდელაკი, ცაბურა ქადეიშვილი, რძალი თამარ ჯაფარიძე ოჯახებით იუწყებიან **ხონია ნესტორის ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-XII, 8 ს. გამოსვენება 29-XII, 4 ს. ყაზბეგის, 3.

ძმისწულები თამარ, ბაბუკა, ქეთო, ნინო, ლამარა, თორნიკე, კოლია, ირაკლი, ვლადიმერ, ალიოშა, კუკური ჩხეიძეები, რევაზ, პავლე ვაშაკიძეები იუწყებიან **აკაკი სოლომონის-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-XII, 4 ს. ონკოლოგიური საავადმყოფოდან.

მშობლები ნინო, შალვა თაქთაქიშვილები, და ლეილა, მამიდები ოლღა, ნინო, თამარ თაქთაქიშვილები, დეიდა ელენე ნემსიწვერიძე ოჯახებით იუწყებიან პატარა **თემურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XII, 7 ს. გამოსვენება 29-XII, 4 ს. საბჭოს შესახ. 12.

და სოფიო, დისწულები ნადია, ზოია, სულიკო ქავთარაძეები, რძალი ქანა, ძმისწულები ვახტანგ, ნორა, ტარიელ, ჩიტო გრძელიძეები ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე ტარიელის ასულ რამიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-XII, 4 ს. II საპროექტო, 20.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები იუწყებიან **არსენ ალფეზის-ძე ლოლუნიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე სამსონ, შვილი მერი, და ნინო, ძმები ირაკლი, ვლადიმერ, ძმისწული ნოდარ ოჯახებით იუწყებიან რომ 30-XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **პაშა იაკობის ასულ ბოკუჩავა-ბოლქვაძის** პანაშვიდი.

მეუღლე ნინო, შვილები თამარ, გალია, რიტა, დები ნინო, ანა, ლიზა, ძმები სტეფანე, მელიქ, სიძეები ვახტანგ, სერგო იუწყებიან **არმენაკ ბოვლარის-ძე ვართანოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-XII, 4 ს. ვეძინის, 2.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06121